

მექსიკის ყურეში ქარიშხალი "რიტა" მძვინვარებს A3



"თქვენი აფხაზეთი" A4



"მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 22 სექტემბერი, 2005 წელი. №211 (1071)

ფასი 50 თეთრი

## საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადება ცხინვალში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით

საქართველოს პრეზიდენტმა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია მოიწვია ცხინვალში მომხდარი ინციდენტის დეტალური და სრული გამოძიებისთვის, რომლის შედეგადაც რამდენიმე ადამიანმა სხეულის დაზიანება მიიღო.

პრეზიდენტმა ინციდენტთან დაკავშირებით სერიოზული შეშფოთება გამოთქვა.

მან ადგილობრივ სამართალდამცველებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს განკარგულება მისცა, ითანამშრომლონ ეუთო-სთან და სრული სიმართლის დასადგენად და დამნაშავის დასასჯელად, ყველა შესაძლო კონფრონტაციის თავიდან ასაცილებლად ყველა საჭირო ზომა მიიღონ. მან ასევე განკარგულება მისცა ჯანდაცვის სამსახურებს, დაზარალებულები დაუყოვნებლივ უზრუნველყონ ყველა საჭირო მედიკამენტით.

ამავდროულად, პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისთვის მშვიდობიანი მოლაპარაკებების განახლების აუცილებლობას. სამშვიდობო მოლაპარაკებები ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე უნდა განახლდეს. პრეზიდენტი კატეგორიულად გმობს ნებისმიერ ძალადობას და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ კონფლიქტი მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა დარეგულირდეს.

**საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური**

## ამბები

### ახალი სასწავლო გრანტები სოციალური პროგრამით

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოთხოვნით მოქალაქემ უნდა მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არაუგვიანეს 26 სექტემბრისა.

A2

## ამინდი

| | 22/09 | 23 /09 |
|---|---|---|
| თბილისი | 30 | 30 |
| ყვარელი | 28 | 29 |
| სოხუმი | 28 | 29 |
| გორი | 25 | 25 |
| ონი | 22 | 22 |
| ზუგდიდი | 32 | 32 |
| ახმეტა | 30 | 30 |
| გაგრა | 25 | 25 |
| სამტრედია | 32 | 32 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7950 |
| ევრო | 2.1931 |
| ბირჟანქა სტერლ. | 3.2472 |
| რუბლი | 0.0632 |

| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| პროექტი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# რა ხდება ცხინვალში

*ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში ბოლო დროს თითქოსდა დამშვიდებული ვითარება ისევ აირია. 20 სექტემბერს, მაშინ, როდესაც ცხინვალში სეპარატისტული ხელისუფლება სამხრეთ ოსეთის "დამოუკიდებლობის დღეს" აღნიშნავდა, დე ფაქტო რესპუბლიკის პრესისა და ინფორმაციის კომიტეტმა ინფორმაცია გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, საღამოს 7 საათზე, ქართულ სოფელ ერგნეთიდან ცხინვალის მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. ინციდენტის შედეგად, შვიდი სამოქალაქო პირი, მათ შორის, მცირეწლოვანი ბავშვი დაშავდა. ამის შემდეგ, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ წყვეტს მუშაობას შსკ-ს ფარგლებში, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება ცხინვალის დაბომბვის გამო ბოდიშს არ მოიხდის. ოფიციალური თბილისი კი დაბომბვასთან რაიმე კავშირს კატეგორიულად უარყოფს. ჯერჯერობით კვლავ უცნობია, საქართველოს რომელმა "დაუძინებელმა მტერმა და დეგენერატმა" ისროლა ნაღმები.*

ნინო გომართელი

**"ეს არის ქართულ-რუსული ურთიერთობების საკითხი,"** - ასე აფასებს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამჟამად და წლების განმავლობაში ცხინვალის რეგიონში არსებულ ვითარებას. თუმცა, ამასთანავე, იგი იმედოვნებს, რომ ბოლოს და ბოლოს, რუსეთი შექმნილ რეალობას გააცნობიერებს და პრობლემის მოსაგვარებლად ქართულ მხარესთან კონსტრუქციულ დიალოგს გამართავს.

**"აღარ არის სირაქლემის პოზიციაში ყოფნის დრო. საბოლოო ჯამში, რუსეთი მართავს ამ ანკლავს, რადგან იქ თანამდებობებზე რუსეთიდან გამოგზავნილი ადამიანები არიან,"** - აცხადებს სააკაშვილი.

კონფლიქტის დარეგულირებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევაც. ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი სააკაშვილს ნამდვილად აქვს და

გაგრძელება A3 გვერდზე

# რა ისმის მზიანეთიდან

სოფიო თოდუა

*სხვებივით მეც, სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირიდან მოვდივარ და თბილისის ამ ერთ-ერთ ულამაზეს შენობას კვლავინდებურად პიონერთა სასახლეს ვეძახი. ჩემდა გასაკვირად, აქაურობას ისინიც ასე მოიხსენიებენ, ვინც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიბადნენ და ცხოვრებას ახლაღა იწყებენ. ალბათ ესეც სიმპტომატურია. მიუხედავად იმისა, რომ პოინერთა სასახლეში არასოდეს მივლია, ოქტომბრელი, პიონერი და კომკავშირელი მეც ვყოფილვარ, ამდენად, სარკეებიანი დარბაზით სიყრმიდანვე მოვხიბლულვარ. იმ ბავშვების, უმთავრესად ჩემი თანაკლასელების, სასახლეში რომ დადიოდნენ, არასოდეს შემშურებია - როგორც ჩანს, ზედმეტ დატვირთვას გავურბოდი, თუმცა იმასაც ვხვდებოდი, რომ ჩემი ამხანაგები, სკოლისაგან განსხვავებით, სასახლეში ხალისით დაიარებოდნენ.*

გაგრძელება A5 გვერდზე



# 27 სექტემბერი - საქართველოს გამოღვიძების დღე

ლელა მარგიანი

*მეთორმეტე წელია, სხვა მრავალი დევნილის მსგავსად, წარმოშობით სოხუმელი ზაზა მიქავა თბილისში ცხოვრობს. ახალგაზრდობაში მოსკოვში, კომკავშირის ცეკაში მუშაობდა. შემდეგ, მშობლიურ კუთხეში დაბრუნებულმა ჯერ კულტურის სამმართველოში და თეატრში რეჟისორად იმუშავა, ბოლოს სოხუმის ქართული თეატრის დირექტორ-განმკარგულებელი იყო. აფხაზეთში ჩატარებული ყველა დიდი ღონისძიების რეჟისორობასაც მას ანდობდნენ. ამიტომ, სამუშაო სპეციფიკიდან გამომდინარე, აფხაზეთში ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავდა. აფხაზ კოლეგებთან მეგობრობას დღემდე აგრძელებს.*

სოხუმის დაცემის დღე განსაკუთრებით ტკივილიანი დღეა თანამედროვე ქართული სახელმწიფოს ისტორიაში. სწორედ ამ დღეს, 27 სექტემბერს, ჯვართამაღლების ბრწყინვალე დღესასწაულზე დასრულდა ის სამარცხვინო ომი, რომელიც არც უნდა დაწყებულიყო. თოთხმეტი წელია, ქართული საზოგადოება ომით მიყენებულ ჭრილობებს იშუშებს. ამდენად, უსაზღვროდ მნიშვნელოვანია ერთმანეთისკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, შერიგებისკენ მიმართული ყოველი ქმედება.

გაგრძელება A4 გვერდზე



*ეს ჩირაღდანი რუხში ჩავა.*

## საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის მშვიდობისმყოფელობაში ეჭვი შეაქვს

*პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი აცხადებს, რომ სავარაუდოდ - სამშაბათს, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონასა და ცხინვალის რეგიონში განთავსებული, რუსეთის სამშვიდობო ძალების შესახებ პარლამენტი მკაცრ დადგენილებას მიიღებს. დოკუმენტის პროექტზე, პარლამენტარებთან ერთად, აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებიც მუშაობენ.*

გიორგი ასანიშვილი

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე კოტე გაბაშვილმა აღნიშნა, რომ პარლამენტის დადგენილებაში დასახელებული იქნება ის მძიმე ფაქტები, რომლებსაც კონფლიქტის ზონებში აქვს ადგილი. **"კონფლიქტის ზონებში კრიმინალური დიქტატურა ჩამოყალიბდა, გახშირებულია გატაცებები, მკვლელობები, ტერორისტული ჯგუფების შექმნა და საერთაშორისო ტერორიზმის მხარდაჭერა, ყალბი ფულის დამზადება და გავრცელება, იარაღისა და იარაღის მასალებით ვაჭრობა, დევნილთა სახლების მითვისება,"** - აცხადებს პარლამენტარი. მისივე მტკიცებით, კონფლიქტის ზონებში ამგვარი რამ იმიტომ ხდება, რომ რუსეთის სახით, სეპარატისტულ ხელისუფლებებს საიმედო დასაყრდენი გააჩნია.

იმის საილუსტრაციოდ, რომ რუსული მხარე ნეიტრალიტეტს არ ინარჩუნებს და სეპარატისტებს "თანაუგრძნობს", კოტე გაბაშვილი იშველიებს ერთ-ერთ ინტერვიუში სამშვიდობო ძალების წარმომადგენლის გამონათქვამებს იმის თაობაზე, რომ "ერთი სული აქვს, სამშვიდობო ძალების ფორმას როდის გაიხდის და საქართველოს წინააღმდეგ იბრძოლებს."

გაგრძელება A2 გვერდზე

## მთავრობამ რთველისთვის მოიცალა

მთავრობის გუშინდელი სხდომის 23-საკითხიანი დღის წესრიგი მინისტრებმა ერთსაათიანი ბჭობის შემდეგ ამოწურეს. ძალოვანი მინისტრები გუშინდელ სამთავრობო თავშეყრას არ დასწრებიან, ხოლო მთავარი თემა დღის წესრიგით გაუთვალისწინებელი საკითხი - ცხინვალში განვითარებული მოვლენები გახდა.

გარდა ამისა, მთავრობამ გუშინ ბევრი ისაუბრა კარს მომდგარ რთველზე.

პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა სოფლის მეურნეობის მინისტრს მიხო სვიმონიშვილს ყურძნის მოსავლის აღების პროცესზე განსაკუთრებული კონტროლი დაავალა. პრემიერის თქმით, სვიმონიშვილს ყოველდღე თუ არა, ყოველ მეორე დღეს მაინც მოუწევს ვენახების დათვალიერება. როგორც თავად მინისტრი ამბობს, ყურძნის მოკრეფა-დაწურვა დაწყებულია და 80-მდე ქარხანა უკვე მზადაა, კახელი გლეხის მოსავალი მიიღოს.

ნოღაიდელის თქმით, წელს კახეთში ყურძნის საკმაოდ დიდი მოსავალია მოსალოდნელი და მას იმედი აქვს, რომ ამ ყურძნისგან დამზადებული ღვინო და შემდეგ ამ ღვინის ექსპორტი საქართველოს საკმაოდ დიდ მოგებას და შემოსავალს მოუტანს.

სხდომის შემდეგ ჟურნალისტების კითხვებს ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმაც უპასუხა. მთავარი კითხვა ფინანსური პოლიციის შეფის, დავით კეზერაშვილის პარლამენტში გამოუცხადებლობას შეეხებოდა.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა ფინანსური პოლიციის მიერ საკანონმდებლო ორგანოში გაგზავნილი ანგარიში პროტესტის ნიშნად არ განიხილა. ანგარიში ფინანსური პოლიციის მიერ რესტორან "ნიკალას" შემოწმების მიზნით ჩატარებულ ღონისძიებებს შეეხებოდა.

ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა დავით კეზერაშვილი 20 სექტემბერს კომიტეტის სხდომაზე მოიწვია, თუმცა კეზერაშვილი პარლამენტში არ გამოცხადდა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ჟურნალისტების ცემის ფაქტს რეაგირება მოჰყვა

*გორის რაიონის სოფელ ქვემო ხვითში არაერთხელ ნაცემი ჟურნალისტები დამნაშავეებს უკვე ხუთი თვეა უჩივიან. სამართალდამცველებმა 20 სექტემბერს ჟურნალისტების ცემაში ეჭვმიტანილი იოსებ ებიტაშვილი, მუხრან ბითაძე და ზურაბ ხუციშვილი დააკავეს. გუშინ გორის რაიონულ სასამართლოში ეჭვმიტანილებს აღკვეთის ღონისძიებად გირაო შეუფარდეს.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

სამივე დაკავებულს გუშინ გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ გოჩა გოჩიტაშვილმა, ჟურნალისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის გამო, გირაოს გადახდა შეუფარდა. იოსებ ებიტაშვილს, რომელიც ჟურნალისტებს ბარით ემუქრებოდა, 26 სექტემბრამდე სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 3500 ლარის გადახდა მოუწევს, დანარჩენი ორი კი 2500 ლარს გადაიხდის. თუკი სასამართლოს გადაწყვეტილება არ შესრულდება, ეჭვმიტანილების მიმართ პროკურატურა გაცილებით მძიმე სახის აღკვეთის ღონისძიებას მოითხოვს.

ეჭვმიტანილებმა პროცესზე არ უარყვეს მათ მიერ განხორციელებული ქმედება, თუმცა, თავს დამნაშავედ არ ცნობენ.

ქვემო ხვითის მცხოვრებლების გარკვეულმა ნაწილმა გუშინ, ეჭვმიტანილების დაკავებასთან დაკავშირებით უკმაყოფილება გამოთქვა და ადგილობრივ ტელევიზიაში მიიჭრა. სოფლის მცხოვრებლებს მიაჩნიათ, რომ ჟურნალისტების ჩივილმა, მათთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის გამო, უდანაშაულო ადამიანები იმსხვერპლა. ისინი ხვითში ნაცემი ჟურნალისტის ნანა კახნიაშვილისგან საჩივრის გამოტანას ითხოვდნენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ახალი სასწავლო გრანტები სოციალური პროგრამით

საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით (`უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 52-ე მუხლის მე-8 პუნქტის, "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად) 2005-2006 სასწავლო წელს გამოიყო 250 სახელმწიფო სასწავლო გრანტი, 2005 წლის 25 აგვისტოს N147, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტთა უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ან ერთსაფეხურიანი განათლების დაფინანსებისათვის.

მათ შორის **90 სახელმწიფო სასწავლო გრანტი** საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონების საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მესტიის რაიონი, ლენტეხის რაიონი, ონის რაიონი, ქედის რაიონი, ხულოს რაიონი, შუახევის რაიონი, ყაზბეგის რაიონი, დუშეთის რაიონის ბარისახოს, შატილისა და ქვეშეთის საგანმანათლებლო დაწესებულებები, ადიგენის რაიონი, ახალქალაქის რაიონი, ნინოწმინდის რაიონი, წალკის რაიონი, დმანისის რაიონი, ახმეტის რაიონის პანკისის ხეობისა და ზემო და ქვემო ალვანის საგანმანათლებლო დაწესებულებები).

**90 სახელმწიფო სასწავლო გრანტი** მიეცემა იმ პირებს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს კონფლიქტის ზონებში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ცხინვალის რეგიონი, ჯავის რაიონი).

**20 სახელმწიფო სასწავლო გრანტი** - პირებს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის, 5 გრანტი - თბილისში.

**20 სახელმწიფო სასწავლო გრანტი** - პირებს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის, 5 გრანტი თბილისში.

**20 სახელმწიფო სასწავლო გრანტი** - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილებს.

**10 სახელმწიფო სასწავლო გრანტი** - კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლებს.

საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სწავლის წახალისების მიზნით ("უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე) დამტკიცდა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის ხელშეწყობის სპეციალური სახელმწიფო პროგრამა (საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 26 ივლისის № 374 ბრძანება) და 2005-2006 სასწავლო წლისათვის გამოიყო **80 სახელმწიფო სასწავლო გრანტი** ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომელთაც გამოცდების შედეგების საფუძველზე ვერ მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი; იმ ქვეყნების მოქალაქეებისათვის, სადაც საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ, იმ ქვეყნის სახელმწიფო დაფინანსებით მიიღონ უმაღლესი განათლება, აგრეთვე, იმ ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომელთა წინაშე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით აღებული აქვს შესაბამისი სპეციალური ვალდებულება.

**სავარაუდოა, რომ თუ აღნიშნული კატეგორიების ჩარიცხული აბიტურიენტები გამოყოფილ გრანტებს ვერ აითვისებენ, მაშინ გადანაწილდეს "რიგით" ჩარიცხულებზე, ქულების რეიტინგის გათვალისწინებით.**

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოთხოვნით მოქალაქემ უნდა მიმართოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არაუგვიანეს 26 სექტემბრისა.

*24 საათი*

## მთავრობამ რთველისთვის მოიცალა

პირველი გვერდიდან

როგორც ალექსიშვილმა განმარტა, მაშინ, როდესაც მას პარლამენტიდან მოწვევა მოუვიდა, ფინანსთა სამინისტროში თათბირი იყო და, ამის გამო, თავად მან და ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელმა დავით კეზერაშვილმა პარლამენტში მისვლა ვერ მოახერხეს. **"ფინანსთა სამინისტრო მზადაა, აბსოლუტურად ყველა კითხვას პასუხი გასცეს. თუ პარლამენტი კიდევ ერთხელ განიხილავს ამ საკითხს, რომლის თაობაზეც გუშინ გვიბარებდნენ, ჩვენ პრობლემას ვერ ვხედავთ. შეგვიძლია პარლამენტარებს მათთვის საჭირო ყველა კითხვაზე გავცეთ პასუხი. პარლამენტში ჩვენი გამოუცხადებლობა უბრალო გაუგებრობა იყო,"** - განაცხადა ალექსიშვილმა.

რაც შეეხება რესტორან "ნიკალაში" ჩატარებულ სპეცოპერაციას, ალექსიშვილი მას წარმატებულს უწოდებს.

**"ფინანსური პოლიციის მიერ "ნიკალაში" წარმატებული ოპერაცია ჩატარდა, ვინაიდან რესტორნების ქსელში სერიოზული კანონდარღვევები გამოვლინდა,"** - განაცხადა ალექსიშვილმა. მისივე თქმით, ვნებათაღელვა სპეცოპერაციის ჩატარების ფორმამ გამოიწვია, რის გამოც ოპერაციის ორგანიზატორებს ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობის მხრიდან საყვედური გამოეცხადათ.

**24 საათი**

## საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის მშვიდობისმყოფელობაში ეჭვი შეაქვს

პირველი გვერდიდან

**"ასეთი ხალხი საქართველოს ტერიტორიაზე არ უნდა იმყოფებოდეს,"** - მოითხოვს ქართველი პარლამენტარი.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე კოტე გაბაშვილმა იმ გარემოებასაც გაუსვა ხაზი, რომ სამხრეთ ოსეთში რუსეთის მოქალაქეებს მინისტრის სავარძლები უკავიათ, ხოლო იმის გამო, რომ პრეზიდენტობის პრორუსულმა კანდიდატმა აფხაზეთში ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, რუსები აქ მინისტრის მოადგილის თანამდებობების დაკავებით "კმაყოფილდებიან".



*კომიტეტი სამშვიდობოებით უკმაყოფილოა.*

**"ეს არის საქართველოს კანონმდებლობის უხეში დარღვევა, რადგანაც რუსეთის მოქალაქეები, რომლებსაც კონფლიქტის ზონებში თანამდებობები უკავიათ, საქართველოს ტერიტორიაზე ვიზების გარეშე ცხოვრობენ და მოღვაწეობენ,"** - შენიშნავს გაბაშვილი. მისივე განცხადებით, ქართული მხარე მაინც გაუწევს ანგარიშს პოლიტიკურ დიპლომატიას და პარლამენტის დადგენილებაში ჩაიწერება, რომ საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო გარკვეულ დროს მისცემს რუსეთის ხელისუფლებას, რათა მან კონფლიქტის ზონებში საკუთარ სამშვიდობო ქმედებებს გადახედოს და გაარკვიოს, კონფლიქტის მონაწილეა თუ მისი მედიატორი.

## ჟურნალისტების ცემის ფაქტს რეაგირება მოჰყვა

პირველი გვერდიდან

ქვემო ხვითში მოსახლეობის ნაწილმა ტელეკომპანია "თრიალეთის" ჟურნალისტები 27 მაისს სერიოზულად სცემა, ხოლო 27 ივლისს "ხალხის გაზეთის" და "თრიალეთის" თანამშრომლები ცემისგან მხოლოდ იმან იხსნა, რომ ჟურნალისტები შემთხვევის ადგილზე პოლიციელების თანხლებით წავიდნენ. ქვემო ხვითში მოსახლეობის ერთი ნაწილი მოიჯარე ნოდარ მაისურაძეს ხორბლის მოსავალს ედავება. ჟურნალისტები სოფელში სწორედ ამ ფაქტის გასაშუქებლად იყვნენ მისულნი, რამაც მოსახლეობის ნაწილის გაღიზიანება გამოიწვია.

კვლავ გაუხსნელი რჩება რეგიონში ჟურნალისტების ცემის კიდევ რამდენიმე ფაქტი. გამოძიებას ჯერ არ შეუსწავლია ქვემო ხვითში 27 ივლისს მომხდარი დანაშაული, არ გახსნილა ასევე "ხალხის გაზეთის" ჟურნალისტის საბა წიწიკაშვილის ცემის საქმეც. თუმცა, ოლქის პროკურორი მიხეილ აბულაძე ირწმუნება, რომ ეს საქმეც მალე გაიხსნება.

## სიღარიბის დაძლევის პირველი ღონისძიება

გუშინ ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა და საქართველოში მსოფლიო ბანკის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა ელენე იმნაძემ საქართველოში სიღარიბის დაძლევის მხარდამჭერი პირველი ღონისძიებისთვის განვითარების საფინანსო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს.

სიღარიბის დაძლევის მხარდამჭერი პროგრამა მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ 15 სექტემბერს განიხილა. ეს არის პირველი - სამი ოპერაციიდან, რომელიც ქვეყნის დახმარების პროგრამის ფარგლებშია დაგეგმილი. შეგახსენებთ, რომ ეს პროგრამა ქვეყანას 20 მილიონი დოლარის ოდენობის საბიუჯეტო მხარდაჭერას ჰპირდება. **"გასული 18 თვის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ, ხანგრძლივი სტაბილურობისა და განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავ პროგრესს მიაღწია. მთავარი ამოცანა საქართველოსთვის არის ის, რომ ეს მიღწევები მუდმივ ინსტიტუციურ ცვლილებად გადავაქციოთ, რათა შევინარჩუნოთ ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებელი, გავაძლიეროთ სოციალური უსაფრთხოება და აღმოვფხვრათ გავრცელებული სიღარიბე,"** - აღნიშნა ელენე იმნაძემ ფინანსთა სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე.

სიღარიბის დაძლევის წარმოდგენილი ღონისძიება მიზნად ისახავს, საქართველოს მთავრობას რეფორმათა პროგრამის გატარებაში დაეხმაროს და ოთხ ძირითად რეფორმაზეა ორიენტირებული: სახელმწიფო სექტორის პასუხისმგებლობის, ეფექტურობის და გამჭვირვალობის გაძლიერება; ელექტრო და გაზის მომარაგების სექტორების გაუმჯობესება; კერძო სექტორის განვითარებისათვის უკეთესი გარემოს შექმნა, სოციალური დაცვის, განათლების და ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება.

*24 საათი*

### მოკლედ

#### საწვავის ფასმა, შესაძლოა, 10-15 თეთრით დაიწიოს

საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარის ვანო მთვრალაშვილის განცხადებით, უახლოეს დღეებში აზერბაიჯანიდან 1500 ტონა ნავთობპროდუქტი შემოვა, რაც ქართულ ბაზარზე საწვავის ფასს 0.10-0.15 ლარით შეამცირებს. "მაშინ, როცა საქართველოში ნავთობპროდუქტების ყოველთვიური მოხმარება 20 000 ტონას შეადგენს, 1500 ტონა მცირე რაოდენობაა. თუმცა, თუ იმპორტირებული ნავთობპროდუქტი დედაქალაქზე განაწილდება, ფასებზე გავლენას მაინც მოახდენს," - განაცხადა ვანო მთვრალაშვილმა. მისივე თქმით, თუ აზერბაიჯანში საწვავის ქარხანას კვლავ ტექნიკური პრობლემა არ შეექმნება, საწვავის დიდ მარაგს უახლოეს მომავალში შემოიტანენ. **მედიანიუსი**

#### სახელმწიფო შენობა-ნაგებობების იჯარით გაცემის პირობები, შესაძლოა, შეიცვალოს

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა განიხილა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც, თუკი პირს სახელმწიფო შენობა-ნაგებობა ან ტერიტორია იჯარით აქვს აღებული და ის თავის მოვალეობებს ვერ ასრულებს, სახელმწიფოს უფლება აქვს, გაწყვიტოს მასთან ხელშეკრულება. ასევე, თუ რომელიმე ნაგებობა გრძელვადიანი იჯარით არის აღებული და წლების განმავლობაში კონიუნქტურა შეიცვალა, სახელმწიფოს უფლება აქვს, პირს ახალი პირობები წაუყენოს. თუ პირი ახალ პირობებზე უარს განაცხადებს, მასთან წყდება ხელშეკრულება და შენობა-ნაგებობა სხვა პირის დროებით საკუთრებაში გადადის. **მედიანიუსი**

### ორი სიტყვით

**თბილისი.** პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტებმა მხარი დაუჭირეს ფინანსთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ კანონპროექტს, რომლის მიხედვითაც, საქართველო წყალდიდობით დაზარალებულთათვის მსოფლიო ბანკიდან 13 მილიონი ლარის ოდენობით სესხს აიღებს. სესხი 40-წლიანია და შეღავათიან პროცენტს ითვალისწინებს. 13 მილიონი დოლარი, ძირითადად, საირიგაციო წყალნაგებობების შეკეთებას მოხმარდება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ სს "მადნეულის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციათა პაკეტის 97,25 პროცენტისა და შპს "ტრანს ჯორჯიან რესურსის" სახელმწიფო საკუთრებაში არსებული წილის პრივატიზებაზე კონკურსი გამოაცხადა. განაცხადები მიიღება 2005 წლის 22 სექტემბრიდან 24 ოქტომბრის ჩათვლით. კონკურსი 25 ოქტომბერს გაიმართება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძე დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტებსა და კომპანიებს საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით საკუთარი წინადადებების წარმოდგენას პირველ ოქტომბრამდე სთხოვს. კოვზანაძის განცხადებით, ოქტომბრის პირველ ნახევარში იგეგმება სპეციალური მოსმენის გამართვა, საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით, რომელზეც განიხილება და შეფასდება ახალი კოდექსის მუშაობა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

**თბილისი**. თბილისის გაზმომარაგებაში პრობლემები არ შექმნილა. კომპანია "თბილგაზში" უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას, რუსეთიდან მოწოდებული ბუნებრივი აირის მოცულობის შემცირების თაობაზე და აცხადებენ, რომ ამჟამად თბილისი დღე-ღამეში 480 ათას კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს იღებს, რაც დედაქალაქის სრული დატვირთვისთვის საკმარისია. რაც შეეხება თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის მიერ "გაზექსპორტის" წინაშე არსებული დავალიანების დაფარვას, როგორც "თბილგაზში" აცხადებენ, 18 სექტემბერს, გვიან საღამოს, "გაზექსპორტში" გაიგზავნა წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ "თბილგაზი" მზად არის, ძველი დავალიანების დაფარვა პირველი ოქტომბრიდან დაიწყოს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. კომპანიების - "ბრითიშ პეტროლიუმის", "სპი-კაპაგ პეტროფაკის" და მათ პროექტებზე მომუშავე ქართულ კომპანიებს შორის წარმოქმნილი დავა საქართველოს პრემიერ-მინისტრის დონეზე გადაწყდება. ასეთი შეთანხმებით დასრულდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენზე მომუშავე ფირმის "გეო-ტეკის" წარმომადგენლებსა და "ბრითიშ პეტროლიუმის" მენეჯერებს შორის გამართული შეხვედრა. "ბრითიშ პეტროლიუმი" მზადყოფნას გამოთქვამს, წარმოქმნილი დავის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღოს და დავალიანების გარკვეული ნაწილი გაიღოს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკორეალიზაციაში ეჭვმიტანილი ცოლ-ქმარი დააკავეს. დაკავებულია გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყში მცხოვრები ცოლ-ქმარი - 31 წლის მაია და 44 წლის იოსებ გოგოსაშვილები. მათი ჩხრეკისასა სამართალდამცველებმა საქართველოში უკანონოდ შემოტანილი განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება 4, 351 გრამი მეთადონი ამოიღეს.

გამოძიებას შსს სპეცოპერატიული დეპარტამენტი აწარმოებს. კანონით, ნარკოტიკული ნივთიერების რეალიზაცია 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. **ინტერპრესნიუსი**

## მიხეილ სააკაშვილმა ახალგახსნილი ავტომანქანების განბაჟების პუნქტი მოინახულა

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ, თბილისში ახლად გახსნილი, ავტომანქანების განბაჟების პუნქტი მოინახულა. პრეზიდენტ სააკაშვილს შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი და ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი ახლდნენ.

პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ამიერიდან მოქალაქეებს უცხოეთიდან შემოყვანილი მანქანების განბაჟება-გაფორმება მნიშვნელოვნად გაუმარტივდებათ.

"ამ პროცედურებისათვის ამიერიდან სულ 40 წუთი იქნება საჭირო," - აღნიშნა პრეზიდენტმა, რომლის თქმითაც, წარსულში მოქალაქეებს იმავე პროცედურების გასავლელად დიდი ნერვების წყვეტა და კვირეები სჭირდებოდათ.

სააკაშვილის თქმით, სამი თვის წინ ბიუროკრატიული პრობლემები საკუთარ თავზე მისმა მეუღლემ სანდრა რულოვსმაც იწვნია, როცა ერთ-ერთი ჰუმანიტარული ორგანიზაციისთვის შემოყვანილი ორი ავტომანქანის განბაჟებას ცდილობდა.

სააკაშვილის განცხადებით, სისტემის გაუმართაობის და სხვადასხვა ბიუროკრატიული პრობლემების გამო, მის მეუღლეს ჯარიმის სახით დაახლოებით 2500 დოლარის გადახდა მოუწია.

პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ მსგავსი პრობლემები საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ წარსულს ჩაბარდება.

*ინტერპრესნიუსი*

## ზვიად ძიძიგური: რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობას შეგნებულად ამწვავებს

"კონსერვატორი" დეპუტატის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, რუსეთი შეგნებულად ამწვავებს საქართველოსთან ურთიერთობას. ზვიად ძიძიგურის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ ყველა დიპლომატიური მექანიზმი უნდა აამოქმედოს და შეატყობინოს საერთაშორისო საზოგადოებრიობას, რომ რუსეთი შეგნებულად ამწვავებს საქართველოსთან ურთიერთობას და საქართველოში კონფლიქტების მოგვარებით დაინტერესებული არ არის.

"კონსერვატორების" ლიდერი საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს, გააუქმოს დაგომისის ხელშეკრულება, რადგანაც სწორედ ის არის საქართველოში არსებული კონფლიქტების საფუძველი.

ძიძიგურის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლებამ უნდა განსაზღვროს პრიორიტეტები და რუსეთის სამშვიდობოები საერთაშორისო სამშვიდობო ძალებით ჩაანაცვლოს.

ძიძიგური ურჩევს საქართველოს ხელისუფლებას, რუსეთის სამშვიდობოებს ჩაანაცვლოს გაეროს, ეუთოს სამშვიდობო ძალები ან სხვა ქვეყნის ინტერნაციონალური ჯარები. "წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლებამ პირდაპირ უნდა თქვას უარი საკუთარ კონსტიტუციაზე, რომლის მიხედვითაც, აფხაზეთიც და სამაჩაბლოც საქართველოს განუყოფელი ნაწილია," - აცხადებს ძიძიგური.

*ინტერპრესნიუსი*

## განათლების მინისტრი სტრასბურგში გაემგზავრა

22-23 სექტემბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ალექსანდრე ლომაია მონაწილეობას მიიღებს სტრასბურგში ევროპის საბჭოს უმაღლესი განათლებისა და კვლევის დეპარტამენტის სამუშაო შეხვედრაში თემაზე: "უმაღლესი განათლების სისტემის მიზნები და მართვის პერსპექტივები ახალ სოციალურ რეალობაში."

მინისტრი გააკეთებს მოხსენებას საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების ძირითადი მიმართულებების შესახებ. კერძოდ:

2005 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები, სიახლეეები მართვაში, სიახლეები კანონმდებლობაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პირველი ინსტიტუციური აკრედიტაცია, სამოქალაქო ინტეგრაციის პროგრამა, ზრუნვა მასწავლებელზე.

*24 საათი*

## "საქართველოს ბანკის" აქციები ევროპის წამყვანმა ბანკმა "Bank Austria Creditanstalt"-მა შეისყიდა

### ევროპის საფონდო ბაზარზე პირველი ქართული ფასიანი ქაღალდები გაჩნდა

ანა შარვაშიძე

*"საქართველოს ბანკში" მნიშვნელოვანი სიახლეებია - ევროპის ერთ-ერთმა წამყვანმა ბანკმა "Bank Austria Creditanstalt"-მა ქართულ ბანკს უპირობო ნდობა გამოუცხადა და მისი აქციების ათი პროცენტი შეისყიდა. ამიერიდან ნებისმიერ ინვესტორს, რომელსაც სურვილი აქვს "საქართველოს ბანკის" აქციონერი გახდეს, ვენის საფონდო ბირჟაზე "Bank Austria Creditanstalt"-ის მიერ კოტირებული ფასიანი ქაღალდების შეძენის შანსი ეძლევა. "Bank Austria Creditanstalt"-სთვის აქციების მიყიდვის დეტალებზე, ამ მოვლენის უპირატესობებზე და ჟურნალ "ევრომანის" მიერ "საქართველოს ბანკის" ქვეყნის უძლიერეს ბანკად აღიარების თაობაზე "24 საათს" "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორი ლადო გურგენიძე ესაუბრა.*



**- ბატონო ლადო, ერთ-ერთმა წამყვანმა ევროპულმა ბანკმა "საქართველოს ბანკის" აქციების 10 პროცენტი შეისყიდა. რომელია ეს ბანკი და რამდენად მნიშვნელოვანი ფაქტია ეს თქვენი ბანკისთვის?**

- "საქართველოს ბანკის" აქციების 10 პროცენტი "Bank Austria Creditanstalt"-მა შეისყიდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთლიანად ქართული საფინანსო სისტემისთვის. პირველ რიგში, იმიტომ, რომ საქმე გვაქვს უპრეცედენტო შემთხვევასთან, როცა ევროპის ერთ-ერთი წამყვანი ბანკი ქართული ბანკისადმი ასეთ ინტერესს გამოხატავს. ამასთან, ამ შესყიდვის საშუალებით, ევროპაში პირველად გაჩნდა ქართული კომპანიის ფასიანი ქაღალდები. ჩვენი ინფორმაციით, ეს კავკასიის მასშტაბითაც უპრეცედენტო მოვლენაა.

"საქართველოს ბანკის" აქციები საქართველოს ბირჟაზე იყიდება, რომელთა დაახლოებით 70 პროცენტს მსხვილი დასავლური საინვესტიციო ფონდები ფლობენ. ეს, თავისთავად, უდიდესი მიღწევაა, რადგან ქართული საბანკო სისტემის ისტორიაში ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. მაგრამ ამგვარი ფონდების უმეტესობას გარკვეული შეზღუდვები აქვს დაწესებული. კერძოდ, მათ ჩვეულებრივ, ე.წ. ეგზოტიკურ, ანუ განვითარებად ქვეყნებში აქციების ყიდვა არ შეუძლიათ, თუ გარანტად რომელიმე აღიარებული, მსხვილი, საერთაშორისო საბანკო ინსტიტუტი არ მოევლინათ. მე აქტიურად ვთანამშრომლობ ინვესტორებთან და, შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული შეზღუდვების გამო, ბაზრის 90 პროცენტს ვკარგავდით. "Bank Austria Creditanstalt"-მა კი, შეიძლება ითქვას, ევროპაში ფანჯარა გაგვიხსნა. საქმე ის არის, რომ ნებისმიერ ინვესტორს, რომელსაც სურვილი აქვს "საქართველოს ბანკის" აქციონერი გახდეს, ამიერიდან შეეძლება, "Bank Austria Creditanstalt"-ის მიერ კოტირებული ფასიანი ქაღალდები ვენის ბირჟაზე შეიძინოს.

აღსანიშნავია, რომ "Bank Austria Creditanstalt"-მა "საქართველოს ბანკს" აბსოლუტურად უპირობო ნდობა გამოუცხადა.

**- "საქართველოს ბანკი" "Bank Austria Creditanstalt"-თან პარტნიორობის გაღრმავებას თუ აპირებს?**

- "საქართველოს ბანკი" აუცილებლად გეგმავს "Bank Austria Creditanstalt"-თან თანამშრომლობის გაგრძელებას. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ბანკის მიერ შესყიდული აქციების პაკეტის შესაბამისი ფასიანი ქაღალდები უკვე იყიდა რამდენიმე უმსხვილესმა ევროპულმა საბანკო ინსტიტუტმა. თუმცა, მსურველი გაცილებით მეტია. თავისი მფლობელობის ათ პროცენტზე მეტად გაზრდისთვის კი, "Bank Austria Creditanstalt"-მა ეროვნული ბანკის თანხმობა უნდა მიიღოს. თუ თანხმობა გაიცემა, და ვფიქრობ, ასეც იქნება, მოსალოდნელია, რომ "საქართველოს ბანკში" ინვესტორების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

**- როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია "Bank Austria Creditanstalt"-ის მიერ "საქართველოს ბანკისადმი" დაინტერესება?**

- ინვესტორები ხედავენ, რომ "საქართველოს ბანკი" აბსოლუტურად გასაგები და გამჭვირვალე ბანკია, რომელიც მათთან საერთო ენაზე საუბრობს. ჩვენს ბანკს ინვესტორებთან ურთიერთობის ძალიან მძლავრი სამსახური აქვს, ბანკი ყველა მნიშვნელოვან საკითხზე აურაცხელი რაოდენობის პრესრელიზებს აგზავნის, ასევე, ჩვენ ყოველთვიურად ვაგზავნით და ვხსნით ბანკის ფინანსურ მონაცემებს. გარდა ამისა, "საქართველოს ბანკი" ის დაწესებულებაა, რომელსაც ბაზარზე სერიოზული სეგმენტი უკავია. "საქართველოს ბანკი" მდგრადი, სტაბილური, სანდო, ზრდადი და მომგებიანი საბანკო დაწესებულებაა. ალბათ, ყოველივე ჩამოთვლილმა გამოიწვია "Bank Austria Creditanstalt"-ის მიერ ჩვენით დაინტერესება.

ამასთან, ჩვენ ყველაზე კარგად მოვერგეთ შექმნილ სიტუაციას. იმისთვის, რომ ჩვენმა აქციონერებმა თავისუფლად იმოქმედონ, ჩვენ მათ გამჭვირვალე, ლიკვიდურ და გასაგებ ფასიან ქაღალდებს ვთავაზობთ. ჩვენ ამით ძალიან ვამაყობთ. საბოლოო ჯამში ხომ ყველა კომპანია აქციონერებისთვის არსებობს. "საქართველოს ბანკმა" კაპიტალიზაცია, დაახლოებით, 30 მილიონი ლარიდან 100 მილიონ ლარამდე გაზარდა. ერთი წლისწადისთვის ეს ძალიან დიდი ზრდაა. აღსანიშნავია ისიც, რომ ძალიან ბევრმა აქციონერმა სერიოზული მოგების მიღება შეძლო. საქართველოში ესეც სიახლეა, რადგან საინვესტიციო ბიზნესი, როგორც ასეთი, მაქსიმუმ უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით შემოიფარგლებოდა. თუმცა, აქცია ჩვეულებრივი აქტივია, რომელიც შეიძლება არანაკლებ მომგებიანი იყოს.

**- ჟურნალმა "ეურომანმა" "საქართველოს ბანკი" ქვეყნის უძლიერეს ბანკად აღიარა....**

- "ეურომანი" მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული ფინანსური ჟურნალია, რომელიც თავისი გამოკითხვების გეოგრაფიას ნელ-ნელა აფართოებს. წელს, მის არეალში საქართველოც მოხვდა. რეიტინგში საქართველოს ჩართვის პირველივე წელს "საქართველოს ბანკი" საუკეთესო ქართულ ბანკად აღიარეს.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე.
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# რა ხდება ცხინვალში

პირველი გვერდიდან

მისივე განმარტებით, მზადყოფნა აშშ-ში ბოლო ხანებში არაერთხელ დაადასტურა.

ამავდროულად, საქართველოს პრეზიდენტი აცხადებს, რომ ქართული მხარე ვეღარ მოითმენს და აღარ შეეგუება უცხო ქვეყნის მაღალჩინოსნების მიერ საერთაშორისო და საქართველოს კანონმდებლობების უხეშ დარღვევებს.

პრეზიდენტისთვის გაუგებარია, რატომ აძლევენ ზემოთ ხსენებული პირები თავს უფლებას, სავიზო რეჟიმის დარღვევით და საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად გადაადგილდნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

მისი თქმით, ის, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ აქვს პრობლემა ცხინვალის რეგიონში მცხოვრები ოსი ხალხისთვის და მათ საკუთარ სრულუფლებიან მოქალაქეებად მიიჩნევს, არაერთხელ დადასტურებულა.

რაც შეეხება ცხინვალის დაბომბვას, საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ხელისუფლება დაინტერესებულია, აღნიშნული ინციდენტი ბოლომდე გამოიძიოს. მაგრამ ის, რაც ცხინვალის რეგიონში ბოლო დღეებში ხდება, **"უხეში გამოწვევაა ყველა შეთანხმებისა და ქართული სახელმწიფოს მიმართ"**, და ეს იმ ძალების გაკეთებულია, რომლებიც საქართველოს ხელისუფლების სამშვიდობო ინიციატივებს წლების განმავლობაში უგულებელყოფენ.

**"იქ რომ პროვოკაციები ხდება, ეს იმ ხალხის სინდისზეა, ვინც ჩვენს მეზობლად და ადგილზე მართავენ სიტუაციას. იქ მხოლოდ რუსები არიან და რუსები მართავენ სიტუაციას. იმ ხალხის სინდისზეა, რომლებიც უკვე მრავალი თვეა, ჩვენი სამშვიდობო ინიციატივების საპასუხოდ ფუჭ ყურს აძლევენ შეხვედრებს კი, მოლაპარაკებებზე რომ არაფერი ვთქვა,"**- დასძენს მიხეილ სააკაშვილი.

კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას შეფასებით კი, ვინც ცხინვალის რეგიონში სროლა ატეხა, ის საქართველოს სახელმწიფოს **"დაუძინებელი მტერი და დეგენერატია"**.

ამასთან, ხაინდრავა მომხდარი ფაქტის დაუყოვნებლივ გამოძიებას ითხოვს და არ გამორიცხავს, რომ აღნიშნული ქმედებით გარკვეულ ძალებს იმ დარღვევების დაფარვა სურდათ, რაც ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ სამხედრო აღლუმის ჩატარებისას კონფლიქტის ზონაში საბრძოლო ტექნიკის კონცენტრაციაში გამოიხატა. სახელმწიფო მინისტრის შეხსენებით, ცხინვალში მძიმე ტექნიკისა და ცოცხალი ძალის შეყვანით ყველა საერთაშორისო შეთანხმება დაირღვა. მინისტრი ამ საკითხებზე ესაუბრა როგორც რუსეთის, ასევე აშშ-სა და ეუთოს ელჩებს საქართველოში.

**"იმედი მაქვს, საერთაშორისო ჩარევის შედეგად გაირკვევა, თუ ვინ და რატომ ჩაიდინა ეს პროვოკაცია,"** - ასეთია სახელმწიფო მინისტრის შეფასება.

მკაცრი განცხადებებია ოსური მხარიდანაც. არაღიარებული სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ განაცხადა, რომ ცხინვალი აღარ მიიღებს მონაწილეობას ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირებაზე მომუშავე შერეული საკონტროლო კომისიის მუშაობაში, სანამ ოფიციალური თბილისი ცხინვალის დაბომბვის გამო ბოდიშს არ მოიხდის.

შსკ-ს სხდომის გამართვა ვლადიკავკაზში სექტემბრის ბოლოს დაგეგმილი იყო, სადაც კონფლიქტის ზონაში ეკონომიკური პროექტების და დემილიტარიზაციის საკითხები უნდა განეხილათ.

**"სანამ ოფიციალური თბილისი ბოდიშს არ მოიხდის, ჩვენ შსკ-ს ფარგლებში მუშაობას შევწყვეტთ. ამ სიტუაციაში, საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრაზე საუბარიც კი რთულია,"** - განაცხადა კოკოითიმ.

ერთ არაღიარებულ რესპუბლიკას მომენტალურად მხარში ამოუდგა მეორე - აფხაზეთი; და კიდევ ერთი დე ფაქტო პრეზიდენტის სერგეი ბაგაფშის განკარგულებით, სამხრეთ ოსეთში გამწვავებული სიტუაციის გამო, აფხაზეთში საბრძოლო მზადყოფნა გამოცხადდა. გაძლიერდა სახმელეთო და საზღვაო საზღვრების დაცვა.

გუშინვე, საკუთარი სიტყვა თქვა საქმეში მთავარმა ბრალდებულმა - რუსულმა მხარემ. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიხაილ კამინინმა ჯერ თანადგომა გამოუცხადა ცხინვალში ოთხი აფეთქების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს, შემდეგ კი იგივე "თანაგრძნობა" გამოხატა ქართული მხარის მიმართ.

**"ყურადღებას იქცევს ფაქტი, რომ წორედ ამ დღეს სამხრეთ ოსეთში ნაციონალურ დღესასწაულთან დაკავშირებული ღონისძიებები მიმდინარეობდა. გასაგებია, რომ ამან გარკვეული ძალები გააღიზიანა,"** - აღნიშნა მან და იქვე დასძინა, რომ მოსკოვი კონფლიქტის მონაწილე მხარეებს მოუწოდებს, გამოიჩინონ თავშეკავება და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების მიზნით მუშაობა გააგრძელონ.

და კიდევ ერთი დანაბარები, თუმცა ამჯერად, ალბათ, უფრო მეტად ცხინვალის მხარისათვის - მოსკოვი უახლოეს მომავალში შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის გამართვას საჭიროდ მიიჩნევს.

კომენტარი გაკეთდა საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდანაც. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მოქმედმა თავმჯდომარემ, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიმიტრი რუპელმა გუშინ ცხინვალის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული დაბომბვა დაგმო.

**"ცხინვალის მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვილკალიბრიანი იარაღით დაბომბვა არის არამარტო ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მხარეებს შორის მიღწეული შეთანხმების სერიოზული დარღვევა, არამედ ცივილიზებული მოქმედებების ყველა ნორმას ეწინააღმდეგება,"** - განაცხადა მან და იქვე ხაზი გაუსვა, რომ მომხდართან დაკავშირებით, საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელის როი რივის შეშფოთებას იზიარებს, შესაბამისი ორგანოებისგან მომხდარის დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყებას, შედეგად კი, დამნაშავეთა დასჯას ელის.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის საგარეო უწყებას საპროტესტო ნოტა გაუგზავნა, სადაც რუსეთს არამეგობრულ და რეგიონში სეპარატიზმის ხელშემწყობ ქმედებებში ადანაშაულებს. ოფიციალური თბილისი მტკიცე პროტესტს გამოთქვამს ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიის რესპუბლიკასა და თვითგამოცხადებულ სამხრეთ ოსეთს შორის გაფორმებული შეთანხმების გამო, რამაც **"შესაძლოა უკიდურესად გაამწვავოს სიტუაცია კონფლიქტის ზონაში და დაძაბულობა გამოიწვიოს მთლიანად საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში."**

18 სექტემბერს, ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიის რესპუბლიკის მეთაურმა თეიმურაზ მამსუროვმა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ "ერთიანი ოსეთის შენარჩუნების მისწრაფებით", ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებას "ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიის რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკებს შორის ორმხრივი ურთიერთობის სამართლებრივი ბაზის გაძლიერების განზრახვის შესახებ."

**"იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის მხარე სრულად პასუხისმგებელია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაზე, ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიის რესპუბლიკის მეთაურის ქმედება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შეაფასა, როგორც რუსეთის მხარის არამეგობრული და რეგიონში სეპარატიზმის ხელშემწყობი ნაბიჯი,"** - ნათქვამია საქართველოს საგარეო უწყების მიერ გაგზავნილ ნოტაში.

ქართული მხარიდან მოსკოვის მიმართულებით გუშინვე კიდევ ერთი საბრალდებო წერილი გაიგზავნა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ წერილით მოსკოვისა და სრულიად რუსეთის კათალიკოს-პატრიარქს ალექსი მეორეს მიმართა, სადაც აპროტესტებს 20 სექტემბერს თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. დამოუკიდებლობის 15 წლის იუბილესთან დაკავშირებულ საზეიმო ღონისძიებაში რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის სტავროპოლისა და ვლადიკავკაზის მიტროპოლიტის თეოფანეს მონაწილეობას და ამ ფაქტს **"საეკლესიო სამართლის უხეშ დარღვევად აფასებს."** პატრიარქის წერილში აღნიშნულია, რომ მომხდარმა არამარტო მორწმუნეების, არამედ საქართველოს მთელი მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია.

**"ეს ტერიტორია საქართველოს განუყოფელი ნაწილი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი ეპარქიაა... მიუხედავად საქართველოსა და რუსეთის საპატრიარქოებს შორის შეთანხმებისა, მსგავს კანონიკურ დარღვევებს ადგილი აქვს ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაშიც, რაც ამწვავებს ურთიერთობას არამარტო სახელმწიფოებს, არამედ ეკლესიებს შორისაც,"** - ნათქვამია პატრიარქის წერილში.

ილია მეორე იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლების მხრიდან მსგავსი უკანონო ქმედებები აღკვეთილი იქნება.

ამასობაში, ცხინვალის ცენტრალურ საავადმყოფოში აფეთქებების შედეგად დაზარალებული მცირეწლოვანი ბავშვის მდგომარეობა კვლავ საკმაოდ მძიმეა. მასთან ერთად საავადმყოფოში იმყოფება კიდევ სამი ადამიანი. ყველა მათგანს ცეცხლნასროლი დაზიანებები აღენიშნება.

კიდევ ერთი დაზარალებული კი ვლადიკავკაზის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ექიმების განცხადებით, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება.

**P.S. წუხელ, 22:50 სთ-ზე სროლები ისმოდა ქართული სოფლების ქვემო და ზემო აჩაბეთის მხარეს.**

# "ჩვენ ცოცხლები ვართ"

## ედპ-ელთა ფრაზა 20 წლის წინ და 20 წლის შემდეგ

თეონა ბოლქვაძე

**"პირველი, რითაც რევოლუციის შედეგად მოსული ჩვენი ხელისუფლება ხასიათდება, ესაა თავისუფლების ხარისხის მაქსიმალური შეზღუდვა და პოლიტიკური მართვის ფორმად პოპულიზმისა და პიარ-ტექნოლოგიების დამკვიდრება. ამ პირობებში ისპობა დემოკრატიის უმთავრესი მონაპოვარი - რეალური კონკურენტული გარემო, შესაბამისად, იწყება პოლიტიკური სპექტრის დასუსტება, ხოლო საზოგადოებაში მატულობს დაძაბულობისა და აგრესიულობის ხარისხი,"** - განაცხადა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მე-18 ყრილობაზე ბაჩუკი ქარდავამ, რომელიც გუშინ, ოთხი წლის ვადით, პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს.

**"ჩვენ არ გვიცნობენ, მაგრამ გაგვიცნობენ. ჩვენ მკვდრებად გვთვლიან, მაგრამ ჩვენ ცოცხლები ვართ. ჩვენ გვსჯიან, მაგრამ ჩვენ არ ვკვდებით,"** - ეს გახლავთ ფრაზა, რომლითაც დაიწყო თავისი ძირითადი მოხსენება ბაჩუკი ქარდავამ და ფრაზა, რომელიც 1984 წელს გიორგი ჭანტურიამ დაწერა.

ედპ, ერთი მხრივ, რევანშიზმის და რევოლუციების წინააღმდეგია, მეორე მხრივ კი, ბრძოლას უცხადებს **"ფსევდო-ლიბერალებსა და ფსევდო-ნაციონალებს."** ყრილობაზე დაამტკიცეს პარტიის პროგრამა, რომლის საფუძველსაც ედპ-ს ანტიკრიზისული კონცეფცია წარმოადგენს. კონცეფციის მიხედვით, ქართული საზოგადოების განვითარების მთავარ პირობად მიჩნეულია ეროვნულობა და დემოკრატია. ედპ-ელთა აზრით, დღევანდელი სახელმწიფოს წინაშე მდგარი უპირველესი ამოცანებია: **"ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი, მდგრადი ეკონომიკური განვითარება და საზოგადოების კეთილდღეობა, უსაფრთხოება, დემოკრატიული ღირებულებების განვითარება, ეროვნული ფასეულობების შენარჩუნება."**

გუშინდელ ყრილობაზე აირჩიეს ახალი მთავარი კომიტეტი, პარტიის პრეზიდიუმი, საწესდებო სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, აღმასრულებელი მდივანი, პოლიტიკური მდივანი, საზოგადოებრივ ურთიერთობათა მდივანი და პარტიის თავმჯდომარის მოადგილე.

ბაჩუკი ქარდავას თქმით, რაოდენ ამბიციურადაც არ უნდა ჟღერდეს ეს სიტყვები, **"საქართველოს მომავალი ეროვნულ-დემოკრატიული იქნება."**

აშშ-ს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის წარმომადგენელი საქართველოში დიმიტრი შაშკინი დარწმუნებულია, რომ **"ახლო მომავალში ედპ გახდება ისეთი ძლიერი, როგორიც 90-იან წლებში იყო."**

უცხოეთი

# მექსიკის ყურეში ქარიშხალი "რიტა" მძვინვარებს

ცოტა ხნის წინ უბედურების ზონად გამოცხადებულ ლუიზიანას სტიქია კვლავ ემუქრება. ტაიფუნმა "რიტამ", რომელიც გუშინ, საფირ-სიმპსონის სკალით, მეოთხე კატეგორიის ქარიშხლად შეფასდა, გეზი მექსიკის ყურიდან ტექსასის შტატისკენ აიღო. ქარიშხლის სიჩქარე საათში 22 კმ-ს აჭარბებს.

როგორც ცნობილია, ასეთივე სიძლიერის ქარიშხალი "კატრინა" აგვისტოს ბოლოს ამერიკის სამხრეთ შტატებს დაატყდა თავს და ასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

**"ამჟამინდელი ვითარება ძალიან ჰგავს "კატრინა"-ს მოქმედების დროს არსებულ მდგომარეობას,"** - აღნიშნა ქარიშხლის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ ედ რაპაპორტმა "სი-ენ-ენ"-თან კომენტირებისას.

ქარიშხალმა "რიტამ" კუბის ტერიტორიას და ფლორიდის შტატის კუნძულოვან ნაწილს უკვე გადაუარა.

კუბაზე 136 ათასზე მეტი ადამიანის ევაკუაცია გახდა საჭირო კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილის სანაპიროდან. კატასტროფის მოლოდინში ჰავანაში და კუბას სხვა ქალაქებში სკოლები, მაღაზიები და დაწესებულებები დაიხურა.

ფლორიდაში კი ქარიშხლის შედეგად წყალდიდობა დაიწყო. გარდა ამისა, მეტეოროლოგთა მონაცემებით, "რიტა"-მ ჰოლივუდის მიდამოებსა და ისლამორადის დასახლებული პუნქტის შემოგარენში უკვე გამოიწვია ორი ტორნადო. ქარიშხლის მიახლოებასთან დაკავშირებით ლუიზიანის შტატის მთავარი ქალაქის ახალი ორლეანის და ტექსასის შტატის ქალაქ გალვესტონის ხელისუფლებამ მოსახლეობის სავალდებულო ევაკუაციის განკარუგლებაც გასცა.

მეტეოროლოგიური სამსახურის ცნობებით, "რიტა" კვირის ბოლოს უფრო გაძლიერდება, რაც ნიუ ორლეანს "კატრინა"-ზე არანაკლები ზარალით ემუქრება.



*საშიშროება კვლავ არსებობს.*

ამ უკანასკნელის შეტევის შედეგად, როგორც ცნობილია, ნიუ ორლეანის 80 პროცენტი დაიტბორა, ქალაქში დარჩენილ მოსახლეობას კიდევ ერთხელ მოუწევს სტიქიასთან გამკლავება.

**"ჩვენ ამჯერად უფრო მომზადებულები შევხვდებით ქარიშხლის შემოტევას. გასულ მაგალითზე ბევრი ვისწავლეთ,"** - განაცხადა ნიუ ორლეანის მერმა რეი ნეგინმა. მისი თქმით, ნიუ ორლეანის დარჩენილი მოსახლეობის ევაკუაცია ეტაპობრივად გრძელდება.

რაც შეეხება ნავთობკომპანიებს, რომლებმაც "კატრინას" შემდეგ, როგორც იქნა, სამუშაოები განაახლეს, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კვლავ მოუწევთ მისი დროებით შეჩერება.

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა უკვე გასცა საგანგებო მდგომარეობის შემოღების განკარგულება ქვეყნის ამ ნაწილში. გარდა ამისა, მისი ძმის, ჯებ ბუშის თხოვნით, რომელიც ფლორიდის გუბერნატორია, ფედერალური ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხები, რაც დაზარალებული რეგიონის აღდგენას მოხმარდება, მანამდე კი გარკვეული ნაწილი საევაკუაციო სამუშაოებზე დაიხარჯება.

"რიტა" მეშვიდე ქარიშხალია, რომელიც ფლორიდას 13 თვის განმავლობაში დაატყდა თავს.

*24 საათი*

# ირანის ბირთვული პროგრამა - თავსატეხი საერთაშორისო აქტორებისათვის

## აშშ-სა და ევროპის მიდგომას რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი არ იზიარებენ

გაერო-ს უშიშროების საბჭოში ირანის ბირთვული პროგრამის განხილვის წინააღმდეგ ღიად გამოვიდნენ რუსეთი და ჩინეთი. საკითხი, რომელიც აშშ-სა და ევროპულ სახელმწიფოებს მოსვენებას უკარგავს, არცთუ ისე მტკივნეულია ოფიციალური მოსკოვისა და პეკინისათვის. გაერო-ს უშიშროების საბჭოში ურანის გამდიდრების პროგრამის განხილვის ინიციატორები, სწორედ, აშშ და ევროკავშირის ქვეყნები იყვნენ, რომლებიც აცხადებენ, რომ ოფიციალურმა თეირანმა ბირთვული პროგრამის შეწყვეტაზე უარის თქმით საერთაშორისო შეთანხმება დაარღვია. როგორც აღმოჩნდა, განსხვავებული პოზიცია უკავია რუსეთს.

**"რაც უფრო მკაცრნი ვიქნებით პოზიციების ფორმულირებისას, მით უფრო მოიმატებს პრობლემების რაოდენობა. ასე თავისუფლად შეიძლება ჩიხში შევიდეთ,"** - განაცხადა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა აშშ-ს ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში.

თუმცა, აქ გასაკვირიც არაფერია. ექსპერტები ადრეც ვარაუდობდნენ, რომ რუსეთი, რომელიც ირანს ბუშერის ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაში ეხმარება, თეირანის წინააღმდეგ ნებისმიერ სანქციას შეეწინააღმდეგებოდა.

პუტინის ამ განცხადებიდან მეორე დღეს მაგატესთან მოლაპარაკებაზე ირანის დელეგაციის ხელმძღვანელმა ალი ლარიჯანიმ განაცხადა, რომ თეირანი შეიძლება ბირთვული გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოვიდეს, თუ მას კვლავაც ძალის პოზიციიდან ესაუბრებიან.

გარდა ამისა, ლარიჯანის განცხადებით, ირანმა, შესაძლოა, საკუთარ ბირთვულ ობიექტებზე მაგატეს ექსპერტთა საინსპექციო შემოწმებები შეაჩეროს და განაახლოს ურანის გამამდიდრებელი სამუშაოები.

პუტინის განცხადებას რუსეთის საგარეო უწყების ოფიციალური გამოხმაურებაც მალე მოჰყვა. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაშია ნათქვამი, რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი მიიჩნევენ, რომ "ირანის ბირთვული პროგრამის ირგვლივ შექმნილი ვითარება შეუქცევადი არ არის".

**"მაგატეს ფარგლებში პრობლემის მოგვარებისთვის ყველა შესაძლებლობა არსებობს,"** - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

ეს განცხადება საინტერესოა იმ მხრივაც, რომ რუსეთმა ასე ღიად თავისი პოზიცია პირველად დააფიქსირა ოფიციალურ დოკუმენტში.

მოკლედ

### სასამართლოს მეშვეობით პოლიციამ "ნარკობარონი" დააკავა

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შოთა ყველაშვილის საკასაციო საჩივარი განიხილა. მსჯავრდებულს თავისი არასწრულწლოვანი ნახევარდის განზრახ მკვლელობა და დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა ედებოდა ბრალად.

საკასაციო პალატამ საბოლოოდ ყველაშვილს 16 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუტოვა მოსახდელად. თუმცა, მოსამართლემ ყურადღება განსასჯელის სასამართლოზე მიცემულ ერთ ჩვენებაზეც გაამახვილა. პალატის სხდომაზე ყველაშვილმა განაცხადა, რომ მან ნარკოტიკები ნარკობარონ დავით ბიწაძისგან შეიძინა და რომ ბიწაძე ნარკოტიკებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ავრცელებს და ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს პოლიციის თანამშრომლებში.

საკასაციო პალატამ ეს ინფორმაცია უყურადღებოდ არ დატოვა და სპეციალური განჩინება სამართალდამცველებს გადაუგზავნა.

მოსამართლის ყურადღებამ შედეგი გამოიღო - გარდაბნის პოლიციამ დავით ბიწაძე დააკავა და მისგან განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა" ამოიღო.

*24 საათი*

### იუსტიციის მინისტრი თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს

იუსტიციის მინისტრი კოტე კემულარია თანამდებობიდან გადადგომას არ აპირებს. როგორც გუშინ, სახელმწიფო კანცელარიაში მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ კემულარიამ განაცხადა, მისი სამსახურიდან წასვლის შესახებ გავრცელებული ხმები ნაადრევია.

მინისტრი განმარტავს, რომ იუსტიციის მინისტრად მისი დანიშვნის შემდეგ პენიტენციურ სისტემაში სიკვდილიანობა კი არ გაიზარდა, არამედ 2-ჯერ შემცირდა. **"უახლოეს პერიოდში ვგეგმავთ ქუთაისის და რუსთავის ციხეების გახსნას. ამის შემდეგ ნახავთ, რა მიღწევები აქვს სამინისტროს,"** - განაცხადა კემულარიამ.

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე მონიტორინგის საბჭო პატიმარ ნუგზარ ქსოვრელის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრასა და გამოძიების დაწყებას მოითხოვს. როგორც მონიტორინგის საბჭოს ხელმძღვანელმა თეა თუთბერიძემ განაცხადა, თავის დროზე პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის უკიდურესად გაუარესების გამო, ქსოვრელი ქალაქის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, რის შემდეგაც იგი პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში რამდენიმე დღეში დააბრუნეს.

იგი თვლის, რომ გამოძიებამ აღნიშნული დარღვევებისთვის უნდა გამოკვეთოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძისა და იუსტიციის მინისტრის კოტე კემულარიას პასუხისმგებლობის საკითხი.

თუთბერიძის თქმით, კემულარია სისტემაში შექმნილ მდგომარეობას ვერ აკონტროლებს.

*ინტერპრესნიუსი*

### პატიმარი თირკმლის მწვავე უკმარისობით გარდაიცვალა

იუსტიციის სამინისტროს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში 20 სექტემბერს პატიმარი, 43 წლის ზაზა ძიგრაშვილი გარდაიცვალა. სამკურნალო დაწესებულების მთავარი ექიმის დავით ასათიანის ინფორმაციით, გარდაცვალების მიზეზი თირკმლის მწვავე უკმარისობა გახდა.

ძიგრაშვილი თბილისის N1 საპყრობილეში გუშინ შეიყვანეს. იგი ნარკოდანაშაულისათვის იყო დაკავებული. ძიგრაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა ღამით გაუარესდა. ღამის 3 საათზე პატიმარი სამკურნალო დაწესებულებაში შეიყვანეს. სამკურნალო დაწესებულების ადმინისტრაციამ, მისი მდგომარეობის გათვალისწინებით, სასწრაფო დახმარებაც გამოიძახა. ექიმების მცდელობის მიუხედავად, პატიმრის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

*მედიანიუსი*

### იუსტიციის მინისტრისგან შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეობამდე

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ახალი მოადგილე ეყოლება. იუსტიციის მინისტრის უკვე ყოფილი მოადგილე ეკატერინე ტყეშელაშვილი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გახდება. ეკა ტყეშელაშვილი იუსტიციის მინისტრის მოადგილე გიორგი პაპუაშვილის მინისტრობისას, 2004 წლის ბოლოს გახდა. ბოლო პერიოდში იგი პენიტენციური სისტემის რეფორმას კურირებდა.

სახელმწიფო სამსახურში მოსვლამდე 28 წლის ეკა ტყეშელაშვილი საერთაშორისო ორგანიზაცია "აირის - საქართველოს" ხელმძღვანელობდა.

ჯერჯერობით უცნობია, ვინ დაიკავებს იუსტიციის მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის ვაკანტურ პოსტს. ამჟამად იუსტიციის მინისტრს სამი მოადგილე - კოტე ვარძელაშვილი, დიმიტრი ძაგნიძე და კოტე კორკელია ჰყავს.

ეკატერინე ტყეშელაშვილი სასჯელაღსულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმას ხელმძღვანელობდა.

*ინტერპრესნიუსი*

### სამართალდამცველებმა სოფელ შამგონაში უაქციზო სიგარეტი ამოიღეს

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა ზუგდიდის რაიონის სოფელ შამგონაში, რომელიც გალის რაიონთან მოსაზღვრე სოფელია, ერთ-ერთი მაცხოვრებლის სახლიდან ამოიღეს, დაახლოებით, 25 ათასი კოლოფი უაქციზო რუსული დასახელების სიგარეტი - "იავა", "ნოვოსტი" და სხვა.

უაქციზო სიგარეტი, სავარაუდოდ, ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე აფხაზეთიდან მოხვდა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლები შამგონაში ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გავიდნენ და აღმოაჩინეს, რომ უაქციზო სიგარეტით დატვირთული იყო ოთხი მსუბუქი ავტომანქანა.

მოგვიანებით, სამხარეო პოლიციის თანამშრომლებმა კიდევ ერთ საცხოვრებელ სახლში აღმოაჩინეს, დაახლოებით, 10 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი. როგორც გაირკვა, ტვირთის მფლობელი ერთი და იგივე პიროვნებაა, თუმცა მის ვინაობას სამართალდამცველები ჯერჯერობით არ ასახელებენ.

უაქციზო სიგარეტი გადასცეს ფინანსურ პოლიციას.

ფინანსური პოლიციის განმარტებით, უაქციზო სიგარეტი სამტრედიის ტერმინალში გადაიგზავნება.

*ინტერპრესნიუსი*

### ყალბი დოკუმენტების დამზადებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გამკაცრდება

საქართველოს პარლამენტი ყალბი დოკუმენტების, ბეჭდების, შტამპების ან ბლანკების დამზადებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამკაცრებას აპირებს. პარლამენტარმა ლალი ფაფიაშვილმა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების პროექტი შეიმუშავა და პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს შესთავაზა.

როგორც კომიტეტში აცხადებენ, ამჟამად არსებული კანონმდებლობით, ყალბი დოკუმენტების, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება ჯარიმას ან ექვს თვემდე ტუსაღობას ითვალისწინებს; იგივე ქმედების არაერთგზის განხორციელებისას კი - სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

კომიტეტის წევრების განცხადებით, საქართველოში დღეს, პრაქტიკულად, არ არსებობს ტუსაღობის ან თავისუფლების შეზღუდვის გამოყენების შესაძლებლობა, რის გამოც, სასამართლოები, ხშირ შემთხვევაში, იძულებულნი არიან, დამნაშავე პირებს მხოლოდ ჯარიმის გადახდა დააკისრონ, რაც არ შეესაბამება ჩადენილი ქმედების სიმძიმეს, არაეფექტურს ხდის აღნიშნულ მუხლს და ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის ფუძმდებლურ პრინციპს დანაშაულის ან სასჯელის სამართლიანობის შესახებ.

კანონპროექტის ავტორის განცხადებით, პროექტის მიღება ხელს შეუწყობს სამართალდამცველ ორგანოებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში.

*ინტერპრესნიუსი*

### იუსტიციის საბჭოში მოსამართლეებს შვიდი კოლეგა ეყოლებათ

უახლოეს მომავალში ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების ახალ წესზე იმსჯელებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახალ კანონპრიოექტზე მუშაობასაც უკვე ასრულებს და მას პარლამენტში რამდენიმე დღეში გადაგზავნის.

საბჭოს დღეს საკმაოდ ძლიერი ბერკეტები აქვს. მას ევალება სასამართლო რეფორმის გასატარებლად წინადადებების შემუშავება, მოსამართლეთა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩატარება, მოსამართლეთა კანდიდატურების შერჩევა და მისი პარლამენტისთვის წარდგენა, ასევე, მოსამართლეთა დისციპლინური დევნის განხორციელება.

თუ დღეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ცხრა წევრისგან შედგება, ახალი კანონპროექტის მიხედვით, მისი წევრთა რაოდენობა 16-მდე უნდა გაიზარდოს. საბჭოს წევრების რაოდენობა მოსამართლეების დამატებით გაიზრდება.

შეგახსენებთ, რომ ისუტიციის საბჭოში დღეს მოსამართლეთა რაოდენობა, თანამდებობრივად, სამი წევრით განისაზღვრება; აქედან ორი ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეა, ხოლო ერთი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე. ახალი კანონპროექტით კი, თანამდებობრივად, მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯოდმარე იქნება საბჭოს წევრი, საბჭოს შემადგენლობას კი კიდევ შვიდი მოსამართლე დაემატება, რომელსაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით მოსამართლეთა კონფერენცია აირჩევს.

გარდა ამისა, კანონპროექტით გათვალისწინებულია საბჭოში, თანამდებობრივად, გენერალური პროკურორის შეყვანაც.

**"პროკურატურა, კონსტიტუციით, სასამართლო ხელისუფლების ნაწილია და ამ უწყების პირველ პირებს ყოველთვის ჰქონდათ სურვილი საბჭოს წევრები ყოფილიყვნენ",** - აცხადებენ იუსტიციის საბჭოში.

რაც შეეხება ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეების საკითხს, ეს სასამართლოები, კანონით, სააპელაციო სასამართლოების ერთიან სისტემაში მოექცევა. ასე რომ, მოსამართლეებს იუსტიციის საბჭოში უკვე საკუთარი შვიდი კოლეგა ეყოლებათ.

*24 საათი*

"თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი
თორნიკე ბერიშვილი

## გამოკითხვა

*როგორ შეაფასებთ პრეზიდენტ სააკაშვილის ფორმულას - "ამორალური ანექსია", რომელიც მან გაეროს გენერალური ასამბლეის საიუბილეო სესიაზე გამოსვლისას იხმარა აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით?*

**რისმაგ გორდეზიანი**, თსუ კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი: "მე ვფიქრობ, რომ ეს ფორმულა იყო საკმაოდ დიდი ხნის გააზრების შედეგი, რადგანაც გაეროში იმ ტრიბუნაზე ადამიანმა შეიძლება თქვას ბევრი რამ, მაგრამ იმის გამო, რომ ის ლაპარაკობს ორდინარული ტერმინოლოგიით. მკვეთრად და მკაფიოდ მისი ნათქვამი არ აღიქმება. ამ სიტყვათშეთანხმებით - "ამორალური ანექსია" ჩვეულებრივ აზრს არაორდინარული მნიშვნელობა მიენიჭა. ამიტომ მოხდა, რომ ყველამ გამოყო ეს სიტყვათშეთანხმება (მხედველობაში მაქვს ქართული მედია) - ეს გამართლებული იყო ამ თვალსაზრისით. რაც შეეხება შედეგს, იქ მყოფი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების გონებაში - ვისაც რაღაც გადაწყვეტილების მიღების უნარი შესწევს - ეს ფორმულა მეტ-ნაკლებად ჩარჩება. აფხაზეთის პრობლემა ისეთია, რომ ერთი ხელისმოსმით ვერ გადაწყდება, მის მოსაგვარებლად ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წავიწიოთ წინ. მიმაჩნია, რომ ამ თვალსაზრისით ეს იყო საკმაოდ საინტერესო ერთი ნაბიჯი.

**ვახტანგ ჯავახაძე**, მწერალი: "ეს ტერმინი პირველად მესმის და კარგად ვერ აღვიქვამ მის მნიშვნელობას. ბევრისთვისაც, ალბათ, ბოლომდე გაუგებარია ეს ფორმულა. აფხაზეთის პრობლემასთან მიმართებაში საკითხი ასე დგას, რომ საჭიროა, ნდობა მოვიპოვოთ. აფხაზებს თანდათან უცრუვდებათ გული რუსეთთან ურთიერთობაში. ნდობის მოპოვების გზით შეიძლება აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება. თუ ეს ტერმინი - "ამორალური ანექსია" გამაღიზიანებელია აფხაზებისთვის და აგრესიისკენ მოწოდებად აღიქმება, ამის მომხრე არ ვარ. არც რუსეთის ძალიან გაღიზიანება იქნებოდა სწორი. გაერო რომ სუსტი დაწესებულებაა და ორგანიზაციულ ცვლილებებს საჭიროებს, ეს თვალსაჩინოა. გაერო უფრო აქტიურად უნდა ერეოდეს შიდა კონფლიქტებში, რისი უნარიც მას დღეს არ შესწევს".

**მარეხ ბაღიშვილი**, აფხაზეთიდან დევნილი, ჟურნალისტი: "მისასალმებელია, რომ, ბოლოს და ბოლოს, გაეროს ტრიბუნიდან გაისმა სიტყვა "ანექსია". საერთოდ არ უხმარია არავის. შევარდნაძის დროს ხელისუფლებას არაფერი უკეთებია აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად, ვერც ამ ხელისუფლებისგან ვხედავ რაიმე კონკრეტულ წინგადადგმულ ნაბიჯს, თუმცა გაეროში პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ნათქვამი სიტყვა "ანექსია" და გაეროსაგან ანექსიის აღიარების მოთხოვნა მისასალმებელია. მე ვფიქრობ, რომ აფხაზეთის დაკარგვას "ამორალური ანექსია" კი არა, პირდაპირი "ანექსია" უნდა დარქმეოდა. იმ ერთმა სიტყვამ "ანექსიის" სიმძაფრე შეარბილა. რა, აფხაზებმა გამოგვყარეს? რუსეთმა არ გაგვიკეთა, რაც გაგვიკეთა? რატომ უნდა შევარბილოთ ტერმინები და ვიაროთ შემოვლით, იგივე რუსები რომ ამბობენ "вокруг да около". დაერქვას ყველაფერს თავისი სახელი."

**იზო ტუსიაშვილი**, ინჟინერი, 47 წლის: "ძველ მთავრობას არ აწყობდა და არ ამბობდა საერთაშორისი საზოგადოების წინაშე, რომ აფხაზეთში მოხდა ანექსია რუსეთის მიერ. მე ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის გამოსვლა გაეროში მნიშვნელოვანი იყო. შეიძლება, გაერომ არ აღიაროს ღიად "ამორალური ანექსია", როგორც სააკაშვილმა უწოდა ჩვენს კონფლიქტებს, მაგრამ გულში ჩარჩებათ. იქნებ, უფრო მეტად მოინდომონ საერთაშორისო თანამეგობრობის ქვეყნებმა, რომ ეს კონფლიქტები მოგვარდეს".

**ქეთინო ლურსმანაშვილი**, ექიმი, 42 წლის: "უმეტეს შემთხვევაში, მე მომწონს ჩვენი პრეზიდენტის გამოსვლა. ის სწორად არჩევს სიტყვებს, ფრაზებს, აქცენტებს, რომ მსმენელის ყურადღება მიიქციოს და მოახდინოს ემოციური და ფსიქოლოგიური ზეგავლენა. ამ მხრივ მისი გამოსვლა გაეროში ერთ-ერთი სამაგალითო იყო. თუმცა, მეეჭვება, გაერომ რაიმე განსაკუთრებული როლი შეასრულოს აფხაზეთის და ცხინვალის პრობლემის მოგვარებაში, თუ ამ ორგანიზაციის სახე არ შეიცვალა. გაერო არასოდეს აღიარებს აფხაზეთის (არც სამხრეთ ოსეთის) დამოუკიდებლობას, ისევე, როგორც ღიად არასდროს აღიარებს რუსეთის მიერ ამ ტერიტორიების ანექსიას (თუნდაც, "ამორალურ ანექსიას")".

## გადარჩენილი ფოტოები

## მენატრები!



*სოხუმი, 1965 წლის დეკემბერი.*
*მარცხნიდან ციური ცაავა და ლეილა მალანია.*

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი",** ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

# შეწყვიტეთ ცეცხლი!

### გაეროს გენერალური მდივნის მიმართვა მშვიდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით

გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის თანახმად მშვიდობის საერთაშორისო დღე უნდა დამთხვეოდა ასამბლეის ყოველწლიური სესიის გახსნას სექტემბერში. 2001 წელს კი გადაწყდა, რომ იქნებოდა 21 სექტემბერი - ცეცხლის შეწყვეტისა და ძალადობაზე უარის თქმის დღე.

მშვიდობის საერთაშორისო დღის დაწესებით გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიზანშეწონილად მიიჩნია, "გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაეროს, მისი წევრი-ქვეყნებისა და საერთოდ კაცობრიობის ძალისხმევა მიმართული იყოს მსოფლიოში მშვიდობის იდეალების გავრცელებისადმი და ყველა საშუალებით მშვიდობის მხარდაჭერაში.

მშვიდობის საერთაშორისო დღე ეძღვნება მშვიდობის იდეალების დამკვიდრებასა და გავრცელებას არა მარტო ქვეყნის შეგნით, არამედ ქვეყნებს შორისაც".



გაეროს შტაბ-ბინაში ეს დღე ყოველწლიურად სპეციალური ცერემონიით აღინიშნება: ადგილობრივი დროით 10 საათზე მოხსენებას აკეთებს გაეროს გენერალური მდივანი, რომელიც მოუწოდებს ყველა ადამიანს, ერთი წუთით დაფიქრდეს საყოველთაო მშვიდობის მიღწევის უნივერსალურ მიზნის შესახებ. გენერალური მდივნის სიტყვის შემდეგ ტრადიციულად რეკს მშვიდობის ზარი, რომელიც ჩამოსხმულია 60-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქეთა შემოწირული მონეტებისაგან.

წელს გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის მოწოდებაა, მშვიდობის საერთაშორისო დღე - 21 სექტემბერი აღინიშნოს ცეცხლის შეწყვეტითა და ძალადობაზე უარის თქმით მთელ მსოფლიოში:

"ძვირფასო მეგობრებო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან!

საყოველთაო მშვიდობის დამყარება გაეროს მთავარი ამოცანაა.

მშვიდობა ჩვენი არსებობის საფუძველია. ჩვენი პიროვნულობის აზრია. ჩვენი მოქმედების საწყისია. 21 სექტემბერს - მშვიდობის საერთაშორისო დღეს ჩვენ ვადასტურებთ ამ მიზნის ერთგულებას.

ეს არის საბაბი იმისა, ერთად დავფიქრდეთ ჩვენს კოლექტიურ უსაფრთხოებაზე.

ეს უნდა იყოს მთელ მსოფლიოში ცეცხლის შეწყვეტის დღე. მე მოვუწოდებ ყველა ქვეყანასა და ხალხს, მთელი დღით შეწყვიტონ ყველა საომარი მოქმედება. ასევე დაბეჯითებით ვთხოვ ყველა ადამიანს, შუადღისას შეუერთდეს ჩვენს წუთიერ დუმილს.

24 საათი ბევრი არაა, მაგრამ საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ კომბატანტები და პოლიტიკოსი ლიდერები დაფიქრდნენ მათი საქმიანობის დამანგრეველ შედეგებზე საკუთარი ქვეყნისა და ხალხისათვის.

ეს დრო საკმარისია ბარიკადებიდან და მავთულხლართიდან გადმოსახედად და სხვა გზის საძებნად.

ამ დღეს მოდით, მოვიგონოთ ისინი, ვინც ძალადობის მსხვერპლი გამხდარა. შევინახოთ მშვიდობის იდეალები ჩვენს გულებში.

გმადლობთ".

# 27 სექტემბერი - საქართველოს გამოღვიძების დღე

პირველი გვერდიდან

სწორედ ამ მიზანს ემსახურება აფხაზეთის კულტურის სამმართველოს თანამშრომლების ინიციატივა, რომლითაც ისინი ეცდებიან, 27 სექტემბერი საქართველოს მოსახლეობას სხვა თვალსაზრისით დაამახსოვრონ.

**"დიდი სურვილი გვაქვს 27 სექტემბერი, რომელიც რატომღაც მხოლოდ სოხუმის დაცემის დღედ და ტრაგედიად აღიქმება, საქართველოს გამოღვიძების დღედ ვაქციოთ. ვფიქრობთ, გვეყოფა გოდება, დროა, გავიღვიძოთ, ცოტა სხვანაირად ვიაზროვნოთ და სიყვარულით ვაშენოთ ის, რაც ომით დავანგრიეთ და დავკარგეთ. ამ იდეას ემსახურება ჩვენს მიერ დაგეგმილი ღონისძიება. გვინდა 27 სექტემბერი, ჯვართამაღლების დღე, განწმენდისა და ურთიერთმიტევების დღედ ვაქციოთ. ჩვენც და აფხაზებმაც ვაღიაროთ, რომ ამ წლების განმავლობაში ძალიან ბევრი შეცდომა დავუშვით, რომ ორივე ხალხმა, რომლებიც საუკუნეების მანძილზე გვერდიგვერდ მშვიდობიანად თანავარსებობდით, საკუთარ სულში უნდა ჩავიხედოთ და ერთმანეთს აუცილებლად მივუტევოთ,"** - მიაჩნია აფხაზეთის კულტურის სამმართველოს უფროსს ზაზა მიქავას.

სამმართველოს ხელმძღვანელის ინფორმაციით, ამ კეთილშობილური იდეის განხორციელებას მასშტაბური და ძალიან ორიგინალური აქციით აპირებენ. საქართველოს ოთხი კუთხიდან, წმინდა ადგილებიდან: აფხაზეთიდან (ბედია), აჭარიდან (გონიო), კახეთიდან (ბოდბე) და ყაზბეგიდან ფეხით წამოვლენ ადამიანები. ისინი წამოასვენებენ ოთხ დიდ ძელს, რომლებისგანაც თბილისში, სამების ტაძარში შეიკვრება ორი დიდი ჯვარი. აქციის ორგანიზატორების სურვილია, ამ ორი ჯვრიდან ერთ-ერთი 27 სექტემბერს, "გმირთა მოედანზე" არსებულ მემორიალთან აღიმართოს, ხოლო მეორე ჯვარი ვერტმფრენის საშუალებით, სამღვდელოების თანხლებით, გადაესვენოს რუხში იმ ისტორიულ ადგილას, სადაც თავის დროზე აფხაზებმა და ქართველებმა ერთად დაამარცხეს ოსმალოები. ეს იყო გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო და გაერთიანებული საქართველოს დროშის ქვეშ მებრძოლი აფხაზებისა და ქართველების ერთად მოპოვებული გამარჯვება.

გზას გმირთა მოედნიდან რუხის ციხემდე ათასობით ჩირაღდანანთებული ახალგაზრდა გაანათებს.

**"ყოველივე ეს ძალიან სიმბოლური იქნება, მით უფრო, თუ საქართველოს პრეზიდენტი მხარს დაგვიჭერს ამ ინიციატივის განხორციელებაში და რუხის ციხესთან აფხაზებს სიტყვით მიმართავს. პროექტს განვიხილავთ სამინისტროში და შემდეგ ბატონ გოკა გაბაშვილის და თქვენი გაზეთის საშუალებით გვინდა ხმა მივაწვდინოთ საქართველოს პრეზიდენტს, რათა მან ამ იდეის განხორციელებაში მხარი დაგვიჭიროს,"** - აღნიშნა ზაზა მიქავამ.

ამავე დროს, ორგანიზატორებს სურთ, რომ რუხის ციხესთან მოწყობილი აქციის დროს, აფხაზეთის მიმართულებით, ჰაერში გაუშვან საჰაერო ბუშტები, რომლებშიც ორენოვანი, ქართულ-აფხაზური მიმართვები იქნება და იმედი აქვთ, რომ ამ მიმართვებს აფხაზეთშიც გაეცნობიან.

# საერთო ფესვები

*ლორენცო შარანგია იმ გვარის წარმომადგენელია, რომელიც ქართველებსა და აფხაზებს შორის ცოცხალ ხიდად ქცეულა და ამაში დიდი წვლილი თავად ბატონ ლორენცოს მიუძღვის. ის იყო და არის აფხაზეთის ინტელიგენციის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი, რომელიც მუდამ აფხაზებისა და ქართველების ერთიანობას ემსახურებოდა. საქართველოს დამსახურებული მელიორატორი, აფხაზეთის დამსახურებული ინჟინერი, ტრესტ "აბხაზვოდსტროის" მმართველი ჯერ კიდევ ომამდე იძულებული შეიქნა, პუბლიცისტური წერილები გამოექვეყნებინა და გონიერებისკენ მოეწოდებინა ქართველებისა და აფხაზებისათვის, რომელთა შორის ურთიერთობა სულ უფრო და უფრო იძაბებოდა. მაშინ, სამწუხაროდ, მას ყური არავინ ათხოვა და ორივე მხარემ ლამის მოღალატედ გამოაცხადა. დღეს ბატონი ლორენცო მოსკოვში ცხოვრობს და ისევ ქართველებისა და აფხაზების შერიგებისათვის იღწვის.*

**ლორენცო შარანგია:** "ჩემი გვარი აფხაზეთშია შობილი. ყველანი სამურზაყანოდან ვართ და, რა თქმა უნდა, ისტორიულად აფხაზებთან ნათესაობა და ძმობა გვაკავშირებს. სოფელ მუხურში, სადაც მე დავიბადე, არიან მიქელბაიები (ყოფილი მიქანბა), ბუთბაიები (ყოფილი ბუთბა), ხინთბაიები (ყოფილი ხინთბა) და ა.შ. ჩემი სახლის წინ ცხოვრობდნენ ყოფილი თავადები ანჩაბაძეები. ჩემთან ერთად სწავლობდნენ აშუბები, არშბები, ჭვიშბები. მამაჩემის დედა აფხაზი იყო. ჩემი მეუღლეც აფხაზია, გვარად ემხვა (ყოფილი ემხვარი).

ბედიის მონასტერში განისვენებს საქართველოს გამაერთიანებელი მეფე ბაგრატ III, რომლის დედა გურანდუხტი აფხაზი იყო. ასე ვართ გადაჯაჭვული და ამ კავშირს სასტიკი ომი ვერ მოშლის. თუმცა, ურთიერთობა ისეთი დაძაბულია, უცებ სოხუმში რომ აღმოვჩნდე, ნაცნობმა აფხაზმა შეიძლება გამარჯობა არ მითხრას. სოხუმში დიდია შიშის ფაქტორი და ქართველებთან ურთიერთობას ერიდებიან."

**- პოლიტიკური მიზეზები გასაგებია, მაგრამ ამ ორ ნათესავ ხალხს შორის ისეთი რა მოხდა, რომ ძმები მტრებად გადაიქცნენ?**

- როცა საქმე ომამდე მივიდა, აფხაზეთიდან თბილისში ჩამოვიდნენ ბაგაფში, ანქვაბი და კიდევ რამდენიმე აფხაზი, რომლებმაც შევარდნაძეს სთხოვეს, ომს ნუ დაიწყებთ და არძინბას ჩვენ მოვუვლითო. როგორც იმ აფხაზებმა თქვეს, შევარდნაძე მათ დაჰპირდა, რომ ომს არ დაიწყებდა და შვილიშვილიც კი დაიფიცა, მაგრამ... ამას ისინი ღალატს უწოდებენ. ასეთი რამდენი შემთხვევა იყო ორივე მხარეს. მერე დაიწყო ომი და ... უნდა გვახსოვდეს, არ არსებობს, რომ მოჩხუბართაგან ერთი მთლად მართალი იყოს, მეორე - მთლად მტყუანი. თავის წილი დანაშაული ყველას აქვს.

თქვენ როგორ გგონიათ, აფხაზებს ქართველებზე მეტად სხვა ერები უყვართ, რომელთანაც დღესაც თანაცხოვრობენ? - არა, მაგრამ ის სხვა ერები აფხაზებს მიწა-წყალს არ ედავებიან. ჩვენ კი შევედით ყვირილით: ეს ჩვენი მიწაა, ეს ჩვენი მიწაა! ასე არ შეიძლება. აფხაზეთი საერთო სამშობლოა.

**- თქვენ მოსკოვში ცხოვრობთ, რა ურთიერთობა გაქვთ აფხაზებთან?**

- არაჩვეულებრივი, ძველებური. მოსკოვში აფხაზები და ქართველები ერთად ვართ და ვიცი მათი აზრი. აფხაზებს რუსეთთან ყოფნა არ სურთ (ხომ გახსოვთ, როგორ დასაჯა აფხაზეთი რუსეთმა პირველი არჩევნების შემდეგ?), მაგრამ სხვა გზა არ დავუტოვეთ. დღეს მე რომ ვიყო ბაგაფშის ადგილას, ვერც მე ვიტყოდი, საქართველოს უნდა დავუბრუნდეთ-თქო. დღეს ეს სიტყვები სიკვდილს ნიშნავს. ისიც ესმით, რომ რუსეთთან მთლად დაიღუპებიან, და ძალიან რთულ მდგომარეობაში არიან.

**- გამოსავალი არსებობს?**

- ჩვენ-ჩვენი ცოდვები უნდა ვაღიაროთ და ერთმანეთს მივუტევოთ. ამაში სასირცხვილო არაფერია, პირიქით, ღმერთის ნების აღსრულება და ვაჟკაცობის გამოხატულებაა. ჩვენი გადარჩენა ჩვენივე საერთო ფესვებშია.

იცით, მე აფხაზებმა გადამარჩინეს. სოხუმი 25 სექტემბერს დავტოვე, მანამდე მერხეულში ვიმალებოდი. სამშვიდობოს აფხაზების დახმარებით გავედი. ყალბი პასპორტი გამიკეთეს, ვითომ ბერძენი ვიყავი და სოჭში გადამიყვანეს.

**- მონანიების აზრი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მართლაც მწიფდება, მაგრამ მოწინააღმდეგენიც არიან.**

- ადრევე ვწერდი, რომ შეცდომები ჩვენც და აფხაზებმაც უნდა მოვინანიოთ, უფრო მეტად - ჩვენ, და ამას რომ ვწერდი, ქართველების მეშინოდა. კრიტიკა ორივე მხრიდან იყო. აფხაზებმა თქვეს, რა გვაქვს მოსანანიებელი, ომი ქართველებმა დაგვიწყესო; ქართველებმა თქვეს, ჩვენ რა უნდა მოვინანიოთ, აფხაზებმა გამოგვყარესო. ასეთი მიდგომით არაფერი გამოვა. მშვიდობიანი თანაცხოვრების მოტანა მხოლოდ კომპრომისს შეუძლია.

**- იქნება ეს კომპრომისი?**

- ცხოვრებამ გვაჩვენა, რომ ქართველებისა და აფხაზების ყოფა ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. არ შეიძლება, აფხაზისთვის კარგი იყოს ის, რაც ქართველისთვის ცუდია, და პირიქით. შეხედეთ ჩვენს ტრადიციებს, კულტურას, წესჩვეულებებს და აღმოაჩენთ განუყოფელ ერთიანობას. თუ არ მოინანიებთ, დაიღუპებით, გვასწავლის სახარება და ეს პირდაპირ ჩვენ, ქართველებსა და აფხაზებს გვეხება.

მიუხედავად სიყვარულისა და სიძულვილისა, ჩვენ განწირულნი ვართ შერიგებისთვის და თანაცხოვრებისთვის და რაც დრო გადის, ეს ჭეშმარიტება უფრო ცხადდება. ისტორიას არ ახსოვს, რომ ომის შემდეგ შერიგება არ მომხდარიყოს, ეს დროის საკითხია. თუმცა, მანამდე გულხელდაკრეფილნი არ უნდა ვისხდეთ და აფხაზებთან ფართო დიალოგი უნდა გავმართოთ ყველა დონეზე. მთავარია, ურთიერთნდობა აღდგეს. მერე ყველაფერი გამოგვივა.

რამდენიმე ხანში გამოვა ლორენცო შარანგიას მოთხრობების კრებული ქართულ და რუსულ ენებზე და ეს იქნება კიდევ ერთი ნაბიჯი ორი მოძმე ხალხის შერიგებისაკენ.

# ერთი კითხვა

### აფხაზურ საიტებზე ხშირად ქვეყნდება ინტერვიუები სოხუმის ხელისუფლების ლიდერებთან. ჩვენ შემოგთავაზებთ ყველაზე აქტუალურ თითო კითხვა-პასუხს მათი საუბრებიდან.

**სერგეი ბაგაფში,** აფხაზეთის პრეზიდენტი

**- ისევ აქტუალურია თუ არა რუსეთთან ასოცირებული ურთიერთობების იდეა?**

- ეს საკითხი არაერთხელ წამოგვიწევია, მაგრამ არის პრობლემების მთელი რიგი, რომლის მოგვარება ჩვენზე დამოკიდებული არ არის - რუსეთის საქმეა. ჩვენმა ხალხმა 1999 წლის რეფერენდუმზე დამოუკიდებლობა აირჩია და ჩვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ვაშენებთ. ამასთან, აქტიურად მიმდინარეობს რუსეთთან ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი. ჩვენს ქვეყნებს შორის ძალიან ახლო პოლიტიკური კონტაქტებია. ჩვენს შორის გადაუჭრელი პრობლემები, პრაქტიკულად, არ არსებობს. უფრო მეტიც, აფხაზეთმა თავისი კანონმდებლობა რუსეთის კანონმდებლობას შეუსაბამა, ვინაიდან ინვესტიციების ძირითადი ნაკადი სწორედ რუსეთის მხრიდან მოდის. რაც შეეხება რუსეთთან ასოცირებულ ურთიერთობებს, ამ საკითხს მომავალშიც წამოვაყენებთ.

**ალექსანდრე ანქვაბი,** აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი

**- გიშლით თუ არა ხელს პოლიტიკური აუღიარებლობა?**

- რას ნიშნავს აუღიარებლობა...საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულ ბარიკადებს ქმნის, მაგრამ ჩვენი კურსი შეუცვლელია. ჩვენს კონსტიტუციაში ნათქვამია: აფხაზეთი არის დემოკრატიული, სამართლებრივი, სუვერენული სახელმწიფო. ეს რევიზიას არ ექვემდებარება. რუსეთში ეს უკეთ ესმით, ვიდრე სხვაგან. დასავლეთის დიპლომატიური წრეების წარმომადგენლები, უკაცრავად და, სულ ამაზე მიგვითითებენ, მაგრამ მათ არ შეუძლიათ, წაგვართვან ჩვენ უფლება, ვიყოთ თავისუფლები და დემოკრატიულები. ჩვენ დაბეჯითებით ვცდილობთ, მათ ეს შევაგნებინოთ. ჩვენ არ გვინდა ბანანი, რომელიც მათ შეუძლიათ შემოგვთავაზონ. მთავარია დამოუკიდებლობა.

**სტანისლავ ლაკობა,** აფხაზეთის უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე

**- როგორ ხედავთ მომავალი აფხაზეთის ოპტიმალურ მოდელს? იქნება ეს რუსეთის შემადგენლობაში შესვლა (როგორც ხაინდრავამ თქვა, ერთ მშვენიერ დილას შეიძლება გაიღვიძოთ კრასნოდარის ოლქის შემადგენლობაშიო), თუ ასოცირებული მდგომარეობა, რაზეც ბევრს საუბრობდნენ, მაგრამ მისი მნიშვნელობა რეალურად არავის ესმოდა?**

- ასოცირებულ ურთიერთობებზე საუბარი ძალიან ძნელია იმიტომ, რომ სამართალმცოდნეებმაც კი არ იციან, რას ნიშნავს ეს. რაც შეეხება რუსეთის შემადგენლობაში შესვლას, აფხაზეთი იქიდან არც გამოსულა. 1810 წელს ჩვენ შევედით რუსეთის იმპერიაში და მას შემდეგ რუსეთის შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ არავითარი დოკუმენტი არ არსებობს.

1991 წლის მარტის რეფერენდუმზე, საქართველოსაგან განსხვავებით, აფხაზეთმა მხარი დაუჭირა საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, რომლის სამართალმემკვიდრე დღეს რუსეთია. შემდეგ ომი დაიწყო, ფაქტობრივად, იმის გამო, რომ ჩვენ რუსეთის შემადგენლობიდან არ გამოვედით და საქართველოს ნაწილი არ გავხდით.

ცხადია, იმის თქმა, რომ აფხაზეთი კრასნოდარის ნაწილი გახდება, აბსურდია. ამაზე არასოდეს წავალთ. ფაქტია ის, რომ აფხაზეთს რუსეთთან რაც შეიძლება მჭიდრო ურთიერთობა სურს. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთმა რამდენჯერმე მიმართა რუსეთს, მაგრამ ამას ქმედითი რეაქცია არ მოჰყოლია. ყველაფერი ლაპარაკის დონეზე მთავრდებოდა. იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, რომ რუსეთმა არ იცის, ასეთ სიტუაციაში როგორ მოიქცეს. რუსეთი აცხადებს, რომ აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ საქართველოს მთლიანობა და საბჭოთა საქართველოს მთლიანობა სხვადასხვა განსაზღვრებებია. არ შეიძლებოდა, საბჭოთა საქართველოს საზღვრები საქართველოს საზღვრებად ეცნოთ. აფხაზეთი საქართველოს ნაწილი არასოდეს ყოფილა და ეს მომენტი უნდა გაეთვალისწინებიათ.

შესაბამისი პოლიტიკური ნების შემთხვევაში, რუსეთი ბევრი პრობლემის გადაჭრას შეძლებდა. ამერიკელები ხომ არ ეკითხებიან, რა გააკეთონ ცენტრალურ ამერიკაში. ამ რეგიონში კი აქტიურობა რუსეთმა უნდა გამოიჩინოს. მაგრამ, რატომღაც, თურქეთის გემები აფხაზეთში შემოდიან, რუსეთის გემები - არა. ასე რომ, საქმე ჩვენში არაა.

# რა ისმის მზიანეთიდან

პირველი გვერდიდან

სასახლის ბავშვები გაიზარდნენ, ზოგი მათგანი ცნობილი პიროვნებაც გახდა. მთელი ამ დღეების გავმავლობაში ისინი პიონერთა სასახლის სცენიდან გვეხმიანებოდნენ და ბავშვების დაცვისაკენ მოგვიწოდებდნენ. ძნელია, გული არ აგიჩუყდეს, როცა კამერის წინ ცნობილი სახე აღშფოთებას ვერ მალავს, ჟურნალისტის სიუჟეტს კი ლაიტმოტივად შემდეგი ქვეტექსტი გასდევს: რომ არა პიონერთა სასახლე, ვინ იცის, ეს ჩვენი სანაქებო არტისტი, მაესტრო თუ მეტრი დღეს ვინ იქნებოდა? კითხვა აშკარად ლოგიკურია, პასუხისა - რა მოგახსენოთ. ალბათ იგივეს განიცდიდნენ ბერიას დროს ბოლშევიკური რეჟიმით უკმაყოფილო აქა-იქ შემორჩენილი მენშევიკების შთამომავლები, ამ შენობას რომ ჩაუვლიდნენ და წინაპრები ახსენდებოდათ - ისინი ხომ სწორედ აქედან მართავდნენ საქართველოს. კიდევ უფრო ღრმად თუ ჩავეძიებით საკითხს, ისიც ადვილი წარმოსადგენია, რა განცდა დაეუფლებოდათ ჩვენს რუსეთუმეებს, ერთხელაც მეფისნაცვლის რეზიდენციაზე ორთავიანი არწივით დამშვენებულ დროშას რომ ვეღარ შეამჩნევდნენ. რომელი ერთი ვიტიროთ?!

როცა "ბავშვებს შენობიდან ყრიან" (როგორც ამას პიონერთა სასახლის დირექცია ამტკიცებს) ან "სხვა ადგილას გადაჰყავთ" (რასაც ქალაქის მერია ირწმუნება), რა თქმა უნდა, ხელისუფლების ოპონენტები ამ ფაქტს მის წინააღმდეგ გამოიყენებენ. მეგონა, დღევანდელი ხელისუფლება, მეტადრე ქალაქის მერი, სიფრთხილეს გამოიჩენდა და კატეგორიული განცხადებებისაგან თავს შეიკავებდა. სამწუხაროდ, საპირისპიროს მომსწრენი გავხდით და არაერთხელ მოვისმინეთ ბატონი მერის რიხიანი ნათქვამი: მერია გადაწყვეტილებას არ შეცვლის! რას მივაწეროთ, ბატონო გიგი, თქვენი ასეთი გაჯიუტება? ბოლოს და ბოლოს, თქვენც ფილოსოფოსი კაცი ბრძანდებით, პოლიტიკოსისათვის ეს მეტად საჭირო პროფესია კი ნაადრევი დასკვნებისაკენ არ უნდა გიბიძგებდეთ. თქვენ ხომ სხვებზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ პოლიტიკა კომპრომისების ხელოვნებაა და საქმეს იქამდე ნუ მიიყვანთ, როგორც ეს რუსთაველის გამზირის გადაკეტვის შემთხვევაში მოხდა. მხოლოდ იმიტომ, რომ ყოფილი მერის გადაწყვეტილებას გამართლება გამოვუძებნოთ, ახლა იძულებული ვართ, კვირაობით ახალ-ახალი დღესასწაულები გამოვიგონოთ და სახალხო სეირნობები მოვაწყოთ. საინტერესოა, ზამთარში როგორღა გაიტყუებთ ხალხს მთელი დღით ქუჩაში? სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხის თვალში ნინო ანანიაშვილს მეტად უხერხულ მდგომარეობაში აგდებთ, ამ შენობისთვის იმავე სტატუსის შენარჩუნება გერჩივნოთ, ვიდრე გაუთავებელი აქციები, არაფრისმომტანი კომისიები, ფუჭი დისკუსიები და საზოგადოების ავტორიტეტული ნაწილის განაწყენება. რა ვუყოთ, თუ პოზიციას საკმაოდ ხშირად იცვლიან და პოლიტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებული სიმტკიცით არ გამოირჩევიან (ბოლო დროს განსაკუთრებით), მაგრამ ჩვენ ხომ დემოკრატიული სახელმწიფოს შენების ილუზიებით ვიკვებებით, სხვათა შორის, ხელისუფლებისაგან, ასე რომ, ღირებულებათა გადაფასებას ცოდვად ნუ ჩაგვითვლით. რაც შეეხება ქალბატონ ნინოს, იქნებ ვიღაცა გააღიზიანა კიდეც მისმა სატელევიზიო გამოსვლამ. მათ ვურჩევ: თბილისი პატარა ქალაქია და ჭორ-მართალი ადვილად ვრცელდება. დაინტერესდით, ბატონებო, იმ შემწეობის გარდა, რაც ანანიაშვილმა ქართული ბალეტის სასარგებლოდ ოფიციალურად გაიღო, არაოფიციალურად კიდევ როგორ დაეხმარა ქართულ კულტურას. სიმართლის დადგენას არც ჟურნალისტთა კორპუსის და არც ძალოვანი სტრუქტურების გამოძიება არ სჭირდება. ამადაც არ გამკვირვებია?! - შეცდომებისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ სახელმწიფო მოღვაწეები იმას კი ნამდვილად უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ ბავშვების (სასახლის აღსაზრდელებს ვგულისხმობ) ბავშვებითვე (ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებზე მოგახსენებთ) ჩანაცვლება სამართლიანად გამოიწვევდა უარყოფით რეზონანსს. ეს ეტაპი, როგორც ჩანს, სხვა ქვეყნებმა ჩვენზე ადრე განვლეს. თუ დაკვირვებიხართ, სასახლეების უმრალესობაში მუზეუმებია გახსნილი. იქნებ, ღირდეს ამაზე დაფიქრება.

ეს რაც ხელისუფლებას შეეხება. გაცილებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია საზოგადოების იმ ნაწილის აზრი, ვინც ბარიკადების მეორე მხარეს აღმოჩნდა. იცით, რატომ? იმიტომ, რომ ყველაზე კარგი ჩინოვნიკიც კი ვერასოდეს დატოვებს ისე ღრმა ნაკვალევს, როგორსაც ტოვებს კარგი მწერალი, მუსიკოსი, მსახიობი, მხატვარი თუ რეჟისორი. ისინი კი - კარგი რეჟისორები, მუსიკოსები, მხატვრები, მსახიობები, ოდესღაც პიონერთა სასახლის აღზრდილები, რუსთაველის გამზირზე დგანან და ნანობენ, რომ ორი წლის წინათაც იმავე ადგილზე იდგნენ. მათ, რასაკვირველია, ბავშვებზე გული შესტკივათ. ამისდა მიუხედავად, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ უფრო საკუთარ ყმაწვილობას და ამ პერიოდთან ასოცირებულ პიონერთა სასახლეს გლოვობენ. რას იზამ, ისინიც ბავშვობიდან მოდიან, ოღონდ - საბჭოთა ბავშვობიდან. ისე ნუ წარმოვიდგენთ, თითქოს პიონერთა სასახლე თავის დროზე თავისუფლად მოაზროვნე მოზარდების აღსაზრდელად დაარსდა. რა თქმა უნდა, არა, მაგრამ მოხდა ისე, რომ იქაური პედაგოგები თავს უფლებას აძლევდნენ, ბავშვებისთვის სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულზე მეტი მიეწოდებინათ. არის ამაში ერთგვარი რომანტიკა, როცა გაგანია საბჭოთა პერიოდში სკოლებში პავლიკა მოროზოვის გმირობით ყურებს გიჭედავენ, ლიტერატურულ წრეში კი ჰაკი აძბას ერთგულებაზე გელაპარაკებიან; როცა საკლასო ოთახის ნაცრისფერი კედლებიდან ბრგე კოლმეურნე ქალები დაგყურებენ, ვიღაც კი კაკაბაძის აბსტრაქციებს გიჩვენებს; როცა პიონერთხელმძღვანელს ლენინის მავზოლეუმზე ძვირფასი ამქვეყნად არაფერი ეგულება და ამ დროს იგებ, რომ ექვთიმე თაყაიშვილის დაკრძალვაზე სულ რამდენიმე კაცი მივიდა. იმ თაობის განცდა სავსებით გასაგებია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის არსებობა მხოლოდ ამიტომ იყო გამართლებული. მეც კარგად მახსენდება ის დრო, როცა ნაყინიდან მორჩენილი ხურდებით გადასასვლელ ხიდზე "პედროს" ვყიდულობდით, როგორ ვირგებდით "ჩეკების" მაღაზიიდან გამოტანილ ტაილანდურ ჯინსებს, ჩუმად ვეწეოდით დაბადების დღეებზე სიგარეტს და ინგლისურსაც უფრო იმიტომ ვსწავლობდით, ბობ დილანის ტექსტები რომ გაგვეგო... გასახსენებლად მართლაც კარგია, თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ ახალგარზდები ვიყავით. მაგრამ გვინდა კი, რომ ჩვენმა შვილებმაც იგივე გზა განვლონ? სხვათა შორის, მათაც ახსოვთ ნავთქურები, პურის რიგები, მხედრიონელების თარეში. ოდესმე ამ დროს ისინიც ღიმილით გაიხსენებენ. ავდგეთ ახლა და ვუმტკიცოთ, რომ ეს პერიოდი მათი ცხოვრების საუკეთესო მოგონებად დარჩება? ამიტომაც მგონია, რომ პიონერთა სასახლეში შეკრებილი ცნობილი სახეები უფრო წარსულს მისტირიან და ჯიუტად არ უტყდებიან საკუთარ თავს, რომ დღეს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლემ ის ფუნქცია დაკარგა, რაც ერთ დროს დაკისრებული ჰქონდა. რატომღაც არავინ არ სვამს ერთ მეტად მტკივნეულ კითხვას: ვინ ასწავლის იმ მრავალრიცხოვან წრეებში, სადაც ექვსი ათასი ბავშვი ყოფილა გაწევრიანებული?

წინასწარ ვუხდი ბოდიშს იმ პედაგოგებს, რომელთა პროფესიონალიზმში ეჭვის შეტანის არც უფლება მაქვს და არც საფუძველი გამაჩნია, მაგრამ ამ დღეებში ისეთი მასწავლებლებიც მრავლად ვიხილეთ, ვინც საკუთარ აღსაზრდელებს დაახლოებით ისევე ექცევიან, როგორც პოლიტიკოსები ელექტორატს მოახლოებული არჩევნების წინ. სამწუხაროდ, ამ კატეგორიის პედაგოგები უნიჭო სცენარისტებიც აღმოჩნდნენ - როგორც ჩანს, "საპნის ოპერებით" ისე უხვად არიან ნაკვები, უკეთესი სიუჟეტების მოფიქრების უნარი კარგა ხნის წინ დაკარგეს. გულისამაჩუყებელი ეპიზოდები კი მრავლად ვიხილეთ, მათ შორის ასეთებიც: გამოდის თვალცრემლიანი გოგონა, პირზე რძე რომ არ შეშრობია და აკანკალებული ხმით აცხადებს: "მე (პაუზა) ბავშვობა (ისევ პაუზა) წამართვეს". ან: ფართო პლანით გვიჩვენებენ დროზე ადრე დაბრძენებულ ბიჭს, - მეუხერხულება კიდეც, ასე რომ მოვიხსენიებ, - და ამ ტიპის ფრაზებს გვასმენინებენ: "რომ გავიზრდები, ამ მთავრობას დედას ვუტირებ".

ეს ბავშვები მართლაც იმსახურებენ თანაგრძნობას, ოღონდ იმიტომ არა, რომ მათ პიონერთა სასახლის მაგივრად სხვა შენობას სთავაზობენ. ისინი არც "წართმეული ბავშვობისთვის" არიან შესაცოდი და არც შურისძიების გამძაფრებული გრძნობის გამო, მთელი ცხოვრება მძიმე ტვირთად რომ დააწვებათ. ამ ბავშვების სატკივარი ისაა, რომ მათ უკან საკუთარ ამბიციებს აყოლილი მასწავლებლები და მშობლები დგანან. ამ მასწავლებლებსა და მშობლებს მინდა შევეხმიანო: ერთი წუთით მაინც არ უშვებენ, რომ მთავრობამ შეიძლება თავისი გაიტანოს და პიონერთა სასახლე ბავშვებს ჩამოართვას. მერე რას იზამენ, სწავლას მოწყურებულ შვილებს სხვაგან არ მიიყვანენ? დავიჯერო, პედაგოგიკის სახელმძღვანელოებში, მათ შორის საბჭოთა პედაგოგიკისაც, არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ ნებისმიერი სტრესი ბავშვის ფსიქიკაზე ცუდად მოქმედებს და რომ მოზარდი ექსცესებს უნდა მოარიდო? ჰოდა, რადგან წიგნებს არ ფურცლავენ, გავკადნიერდები და ერთ მეტად სევდიან ამბავს მოვუთხრობ. იქნებ ამან მაინც გაჭრას. ეს ისტორია მეორე მსოფლიო ომის დროს საკონცენტრაციო ბანაკში მოხდა. სხვებთან ერთად იქ ცნობილი ექიმიც იყო დატყვევებული. ექიმი, მოგეხსენებათ, ყველას ერთნაირად სჭირდება და ფაშისტებს მისი სიკვდილით დასჯა გულშიც არ გაუვლიათ. სამაგიეროდ, იმ საკონცენტრაციო ბანაკში ასობით ბავშვს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. იცით, ეს ექიმი როგორ მოიქცა? განწირული ბავშვები შოკში რომ არ ჩავარდნილიყვნენ, სულ თამაშ-თამაშით წარუძღვა გაზის კამერაში და მათთან ერთად დაიღუპა. სიტყვამ მოიტანა და ბარემ ერთი იტალიური ფილმის ნახვასაც გირჩევთ, თუ არ ვცდები, ასე ჰქვია: "ცხოვრება მშვენიერია". მოვლენები იქაც დაახლოებით ისე ვითარდება, რაზედაც ზემოთ მოგახსენეთ.

ამ ჩვენი პედაგოგების შეგულიანებული ბავშვები კი ჩემი ბავშვობის დროინდელ სიმღერას აგუგუნებენ: "დაჰკარით დაფდაფებს, ჯერ ასე ძლიერად, არავის უმღერია. მიზანი ერთია, დიადი ნათელი, ჩვენი მზეც ნათელია". ეს მზე ის მზე არ გეგონოთ, ჯერ კიდევ როდის ასე რომ უმღეროდნენ: "მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა. სიცივეს კაცი მოუკლავს, საწყალი აგერ გორავსა". ეს ის მზეა, ჩრდილოეთიდან რომ ამოდიოდა და, როგორც ჩანს, იმდენად მცხუნვარე იყო, მისი სხივები დღესაც ბევრს ათბობს. საბჭოთა ეპოქაში შექმნილი სიმღერები, რა თქმა უნდა, ცუდი არ ყოფილა, მით უფრო დღევანდელი გადმოსახედიდან, როცა ესტრადაზე ხაზგასმით უნიჭო და უსინდისო ადამიანები დგანან. სხვათა შორის, საბჭოთა კავშირის ჰიმნსაც არაფერი დაეწუნებოდა, მაგრამ რუსეთმა ისევ ძველი ჰიმნი რომ ამჯობინა ახალს, არა მგონია, ეს მხოლოდ რუსი ხალხის მუსიკალური გემოვნებით ყოფილიყო განპირობებული. და ამის საპირისპიროდ: ასევე არ მგონია, რომ ბასტილია არქიტექტურული თვალსაზრისით ერთი უსახური შენობა იქნებოდა, მაგრამ როგორც ფეოდალური აბსოლუტიზმის სიმბოლო, ფრანგებმა ის მაინც დაანგრიეს.

პიონერთა სასახლის დანგრევას არ ვითხოვთ, არც ანანიაშვილის მომავალი აღსაზრდელების იქ ჩასახლებას ვიწონებთ, მაგრამ ის მაინც ვაღიაროთ, რომ პიონერთა სასახლე იმ სახით, რა სახითაც ის დღემდე არსებობს, ატავიზმი უფროა, ვიდრე ცოდნის ციტადელი. რა თქმა უნდა, ბევრს ნიშნავს, როცა ბავშვი ლამაზ გარემოში ეუფლება ცეკვას, სიმღერას, ფიზიკას, ქიმიას, ბიოქიმიას, ბიოფიზიკას, კონოხელოვნებას, ფოლკლორს, თანამედროვე ცეკვებს... მაგრამ ასე მგონია, ბავშვებს მარმარილოს კიბეებზე მეტად თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კაბინეტები, უახლესი სახელმძღვანელოები და ოცდამეერთე საუკუნეს მორგებული მასწავლებლები უფრო სჭირდებათ. აი, თუ სახელმწიფო ამის გარანტიას არ მოგვცემს, მაშინ ნამდვილად ღირს განგაშის ატეხვა, ოღონდ - ბავშვების გარეშე.


HEINRICH BÖLL STIFTUNG

## ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და ურბანისტიკის სფეროებში

### ახალგაზრდა ისტორიკოსების, სოციოლოგების, იურისტების, პოლიტოლოგების, არქიტექტორებისა და ეკოლოგებისათვის

**უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):**
ყოფის ისტორია
■ სახელმწიფო და რელიგია XX საუკუნეში
ეთნიკურობა და საზოგადოება
■ ქალაქის სოციალური ანთროპოლოგია
პოლიტიკური რეპრესიები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში
■ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში საბჭოთა რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის ისტორია (*1920-1950-იან წწ*. ან 1953 წ. შემდეგ)

**სოციოლოგია:**
უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები
■ ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები
რელიგიის როლი თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში
■ "ჩვენიანი" და "უცხო" საზოგადოებაში
გენდერული როლების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში
■ სოციალურ-ტერიტორიული ერთობების განვითარება

**მდგრადი ქალაქგანვითარება (ურბანისტიკა):**
საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი
■ არქიტექტურა და ხელისუფლება
ქალაქის ტოპოგრაფიის დინამიკა
■ ქალაქის სოციალური და ტექნიკური ინფრასტრუქტურა
ქალაქის მდგრადი განვითარება (სოციალური, ეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები)
■ ქალაქის მართვის თანამედროვე მეთოდები

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სფეროში, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**
სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.
პროგრამის მიზანია:
ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;
■ ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**
რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1970-1983 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა. ყურადღება მიექცევა მეთოდოლოგიურად ინოვაციურ ნაშრომებს, რომლებიც ითვალისწინებენ კვლევის ხარისხობრივ მეთოდებსა და კომპარატივისტიკას.

**ხანგრძლივობა და მოცულობა**
სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2006 - 31.12.2006. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანამდევი ფონდის მიერ ორგანიზებული პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**
■ სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.
კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.
■ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით.
საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge
■ საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. **25 ოქტომბერი, 18:00** სთ.

**საჭირო საბუთები**
1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სფერო (ისტორია/ სოციოლოგია/ ურბანისტიკა); საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური
2. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
4. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირად მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ წლიური სამუშაო გეგმა)
5. 2 რეკომენდაცია მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი)
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
7. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

**ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე. განაცხადის არასრული კომპლექტი არ განიხილება. სავალდებულოა სისტემური შრიფტების გამოყენება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი**



"Programme of Assistance for the Prevention of Drug Abuse and Drug Trafficking in the Southern Caucasus (SCAD Programme). This Programme is funded by the European Union"
ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამა

UNDP

## განცხადება

სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკულ პროგრამას (**SCAD**) ევროგაერთიანების ფინანსური მხარდაჭერით საქართველოში ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (**UNDP**). ამ პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს სახმელეთო საბაჟო პოსტების აღჭურვა სპეციალური ტექნიკით ნარკოტიკების კონტრაბანდის აღკვეთის მიზნით.

**UNDP** აცხადებს ტენდერს 5 ცალი ანტიკონტრაბანდული ხელის დეტექტორების შესაძენად.

დაინტერესებულმა ფირმებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი წინადადებები დახურული კონვერტით პროგრამის კოორდინატორ ბ-ნ პაატა ნოზაძესთან ა/წლის 17 ოქტომბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე; თბილისი, ერისთავის 9, გაეროს სახლი.

დეტალური ინფორმაციისათვის მიმართეთ პაატა ნოზაძეს ტელ: 25-11-26/28/29/31, მობ: 899 191 000.
E-mail: paata.nozadze@undp.org.ge

მოთხოვნები:
■ **CIP** გაეროს სახლი, ერისთავის 9, თბილისი
■ გარანტია
■ მოწოდების ვადა
■ საბანკო გადარიცხვა საქონლის მოწოდების შემდეგ
■ კომერციული წინადადების ვადა
■ დეტექტორს უნდა გააჩნდეს, როგორც მინიმუმი, ნარკოტიკებისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების აღმოჩენის უნარი



btc SCP South Caucasus Pipeline

## ეკოლოგია და ეკონომიკა ჰარმონიაში

ჩვენ გვჯერა, რომ შევძლებთ მოვახდინოთ რეალური, ზომიერი და დადებითი ზემოქმედება მსოფლიოს ბიომრავალფეროვნებაზე. თუ თქვენ ანალოგიურად მოაზროვნე არასამთავრობო ორგანიზაციას ან გარემოსდაცვით სააგენტოს წარმოადგენთ, გთხოვთ წაიკითხოთ ბოლომდე... გასული 3 წლის წარმატებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით ბი-პი სიამოვნებით აცხადებს მეოთხე

**ბიომრავალფეროვნების კონკურსს საქართველოში**

კონკურსი, რომელიც საქართველოში ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებული "BP"-ს სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს, ხელს უწყობს აღნიშნულ სფეროში ჩვენს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რათა განვახორციელოთ რიგი კონკრეტული ინიციატივები იმ ქვეყნებში და ტერიტორიებზე, სადაც ჩვენ ვმუშაობთ.

**წლევანდელი კონკურსი მოიცავს 2 კატეგორიას:**
1. პროექტები ბიომრავალფეროვნების სფეროში
2. საგაზეთო სტატიები და ვიდეო მასალა ბიომრავალფეროვნების სფეროში

**პირველი კატეგორია**
კონკურსზე წარმოდგენილი პროექტის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 20,000 აშშ დოლარს.

საპროექტო წინადადებები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:
■ მოიტანონ გრძელ-ვადიანი სარგებლობა
■ მოიცავდნენ მდგრად ინიციატივებს
■ უნდა მოიცავდეს პროექტის შედეგების და წარმატებულობის განსაზღვრის კონკრეტულ მეთოდებს
■ ეფუძნებოდნენ ჯანსაღ მეცნიერებას
■ იყვნენ რენტაბელური

შესაძლებელია კვლევითი ელემენტის შემცველი პროექტების განხილვაც, თუკი ეს ელემენტი დამატებით გრძელვადიან სარგებელს ითვალისწინებს

პროექტების წარდგენა შეუძლია როგორც ერთ ორგანიზაციას, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების ჯგუფს. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მხოლოდ აკრედიტებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და ორგანიზაციებს.

კონკურსზე წარდგენილი დოკუმენტი უნდა მოიცავდეს პროექტის დეტალურ აღწერას (მიზნებს, მოსალოდნელ შედეგებს, განხორციელების ვადებს, დეტალურ სამუშაო გეგმას, (ღონისძიებებს, ვადებს, პასუხისმგებელ პირებს და მათ CV-ს) და ბიუჯეტს.

**მეორე კატეგორია**
კონკურსზე წარმოდგენილი საგაზეთო სტატიები და ვიდეო მასალა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
■ სტატიები და ვიდეო მასალა ბიომრავალფეროვნების სფეროში გამოქვეყნებული/გაშვებული 2004 ან 2005 წელს;
■ მკითხველისათვის პოპულარული ენით დაწერილი;
■ სტატიების წარდგენა შეუძლია ერთ ან რამოდენიმე ავტორს.

წარმოდგენილი მასალა არ უნდა მოიცავდეს 7000-ზე მეტ სიმბოლოს, ვიდეო მასალის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10-20 წუთს

გამარჯვებულებისათვის გათვალისწინებულია შემდეგი სახის პრიზები:
■ პირველი პრიზი - ერთი პრიზი (700 აშშ დოლარი);
■ მეორე პრიზი - ერთი პრიზი (500 აშშ დოლარი);
■ მესამე პრიზი - ორი პრიზი (300 აშშ დოლარი).

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 28 ოქტომბერი. გამარჯვებული პროექტი გამოცხადდება 2005 წლის იანვრის თვეში.

საპროექტო წინადადებები უნდა გაუგზავნოთ მთავრობასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფს, მისამართზე:საბურთალოს ქ. 38, თბილისი; 0177; ბი-პი საქართველო

**დამატებითი შეკითხვებით მიმართეთ**
**ბი-პი-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის ჯგუფს.**
**ტელ: 59 34 00**

მოკლედ

## ჟილბერტო სილვა "მეთოფეებთან" 2009 წლამდე

ლონდონის "არსენალის" ნახევარმცველი ჟილბერტო სილვამ "მეთოფეებთან" ხელშეკრულება გააგრძელა 2009 წლამდე.

შეგახსენებთ, რომ 28 წლის სილვა ინგლისურ კლუბში ბრაზილიური "ატლეტიკო მინეიროდან" 2002 წელს გადავიდა 8,14 მილიონ დოლარად.

## სისე "სტად ფრანსესთვის" შიშვლდება

"ლივერპულისა" და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი ჯიბრილ სისე საფრანგეთის სარაგბო კლუბის "სტად ფრანსეს" მიერ გამოცემულ 2006 წლის კალენდარში დედისობილა მოგვევლინება.

პირველი ასეთი კალენდარი შავ-თეთრი ვარიანტით, რომელიც 2000 წელს გამოიცა, სრულად სპორტსმენთა ფოტოგრაფიებით იყო გაჯერებული, რა თქმა უნდა, ისინიც შიშვლად პოზირებდნენ. საგულისხმოა, რომ შარშან აღნიშნული კალენდრის ტირაჟმა 240 ათასი შეადგინა.

## ბალაკმა დაიწყო

"როიტერის" ცნობით, ოთხშაბათს "ბავარიის" ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი ვარჯიშს შეუდგა. ვარჯიშამდე კი სამ თამაშში ვერ დაეხმარა საკუთარ გუნდს: ორ საბუნდესლიგო მატჩში და ჩემპიონთა ლიგის პირველ ტურში ჩეხეთის "რაპიდთან".

"ვიმედოვნებ, რომ ბალაკი "ჰამბურგთან" შაბათის მატჩისთვის მზად იქნება", - აცხადებს ბავარიელთა მწვრთნელი ფელიქს მაგატი.

## ისინბაევა პირველია

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ-ი) საუკეთესო მძლეოსანთა რეიტინგ-ნუსხა გამოაქვეყნა. იააფ-ის ოფოციალური საიტის ცნობით, ქალთა რეიტინგში 1453 ქულით პირველობა შეინარჩუნა რუსმა ჭოკით მხტომელმა ელენა ისინბაევამ.

## თურქები ფიცარნაგიდან დროებით მოიკვეთნენ

დოპინგ-სკანდალის გამო თურქი ძალოსნები დროებით მოიკვეთნენ ყველა საერთაშორისო ასპარეზობებიდანო. ამგვარი გადაწყვეტილება კი ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციას მიუღია.

დოპინგ-სკანდალი, რაც თურქ ძალოსნებს შესაძლოა, ორწლიან დისკვალიფიკაციად დაუჯდეთ, მას შემდეგ გახმაურდა, როდესაც მსოფლიოს ანტიდოპინგურმა სააგენტომ (ვადა) სამი თურქი ძალოსნის მიერ ჩაბარებულ ანალიზებში ეჭვი შეიტანა. ანუ, როგორც ვადა ირწმუნება, თურქ ძალოსანთა ანალიზები შეცვლილი იყო.

კრივი

# ჰატონს პრომოუტერები ვერ იყოფენ

გიგა გურასაშვილი

*პირველი ნახევრად საშუალო წონის ბრიტანელი მოკრივე რიკი ჰატონი, რომელიც კრივის მსოფლიო ფედერაციის (IBF) საჩემპიონო ქამრის მფლობელია და ცოტა ხნის წინათ რუსთა კერპს კონსტანტინ ცზიუს ამავე წონის მსოფლიოს უძლიერესი მოკრივის არაოფიციალური წოდება ჩამოართვა, მომდევნო ორთაბრძოლას 26 ნოემბერს შეფილდში კოლუმბიელ კარლოს მაუსასთან გამართავს. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ჰატონის მეტოქე მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ზაბ ჯუდა აღმოჩნდეს. ამ შემთხვევაში საქმე პრომოუტერთა მარიფათზეა.*



*ჰატონი პრომოუტერთა შორის გაიჩხირა.*

ვინ არის კარლოს მაუსა? კოლუმბიელის საბრძოლო ნუსხა ჰატონის დარი რომ არაა, ამას ჩატარებულ ორთაბრძოლათა რაოდენობიდანაც შეიტყობთ: 21 ორთაბრძოლა, 19 გამარჯვება, აქედან 17 ნოკაუტით. ნუსხა იქით იყოს, კოლუმბიელი WBA-ს ჩემპიონის ტიტულის მატარებელია.

ბრიტანელისა და კოლუმბიელის ორთაბრძოლის თაობაზე ოფიციალურად მანჩესტერში მოწყობილ პრესკონფერენციაზე გაცხადდა. ჰატონისა და მაუსას ჩხუბის პრომოუტერად კი დენის ჰობსონი მოგვევლინება, რომელთანაც ბრიტანელს ჯერჯერობით ერთჩხუბიანი შეთანხმება აქვს თანამშრომლობის შესაძლო გაგრძელების პერსპექტივით.

ჰატონისა და მაუსას დაპირისპირების გახმოვანებისთანავე ვითარება უცებ შეიცვალა. ავანსცენაზე "ჰიტმენის", როგორც ჰატონს სხვაგვარადაც უწოდებენ, ყოფილი პრომოუტერი ფრენკ უორენი გამოჩნდა. უორენი კი ის კაცია, რომელსაც კრივის სამყაროში თავისი სიტყვა ეთქმის და, როგორც არაერთი აღნიშნავს, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ჰატონის სახელი საქვეყნოდაა ცნობილი.

უორენმა დონ კინგთან (რომელსაც წარდგენა არ სჭირდება) ერთად ჰატონს 2,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი (4,5 მილიონი დოლარი) შესთავაზა. ამასთან, ბევრად უფრო სახელიან მოჩხუბართან, პირველი ნახევრად საშუალო წონის მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონ ზაბ ჯუდასთან ორთაბრძოლისთვის. ესეც რომ არა, უორენი და კინგი ჰატონს ხსენებული ჰონორარის გარდა ფასიანი ტელეტრანსლაციებიდან შემოსული თანხის წილსაც შეჰპირდნენ. ჰატონისა და ჯუდას შესაძლო დაპირისპირება ნახევრად საშუალო წონისა უნდა იყოს.

და კიდევ, უორენი იურიდიულ მხარეზეც ამახვილებს ყურადღებას, რომლის მიხედვითაც ჰატონის მომდევნო ორთაბრძოლაზე საკუთარ უფლებას ამტკიცებს. მეტიც, ბრიტანელი პრმოუტერი იმაშიცაა დარწმუნებული, რომ ჰატონისა და მაუსას ჩხუბი "არ შედგება სხვადასხვა მიზეზის გამო".

ის იყო უორენმა ჰატონს 2,5 მილიონი ფუნტი სტერლინგი შესთავაზა, რომ მაუსასთან ორთაბრძოლის სანაცვლოდ ჰობსონმა ჰატონს თანხა 2 მილიონ ფუნტამდე გაუზარდა. ამასთან, ისიც შეახსენა, კოლუმბიელთან დაპირისპირებამ, შესაძლოა, კარიერის მეორე ტიტულიც მოგაპოვებინოსო. თან წააქეზა, კარლოს მაუსა უფრო ადვილად დასამარცხებელი იქნება შენთვის, ვიდრე ზაბ ჯუდაო. რაც შეეხება უორენის წინადადებას, ამასთან დაკავშირებით თავად ბრიტანელ მოკრივეს ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია.

მოკლედ

## 18 წლის გერმანელი "უილიამსის" ტესტ პილოტი ხდება

ახალგაზრდა გერმანელი მრბოლი სებასტიან ვეტელი მომავალ კვირას ესპანეთში ფორმულა 1-ის ბინადარი საჯინიბოს "უილიამსის" ტესტებში მიიღებს მონაწილეობას. "როიტერის" ცნობით, 18 წლის გერმანელს საკუთარი ასპარეზობით (ვეტელი იუნიორთა რბოლებში გამოდის) "უილიამსის" საჯინიბოს ძრავებით მომმარაგებელ კომპანია BMW-ს წარმომადგენლებზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია.

## კანადელ ჰოკეისტებს 1964 წლის "ბრინჯაო" არ გადაეცათ

ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციამ (IIHF) კანადის ჰოკეის ასოციაციის მიერ წარდგენილ აპელაციაზე უარი თქვა. აპელაციის თანახმად კანადელები ჰოკეის დიდ მოხელეთაგან 1964 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე მოპოვებული ბრინჯაოს მედლების მათთვის დაბრუნებას მოითხოვდნენ. სხვათა შორის, მაშინ მსოფლიოს ჩემპიონის წოდება სსრკ ნაკრებმა მოიპოვა. საერთაშორისო ფედერაციის ამგვარი გადაწყვეტილებით, კანადელები იმედგაცრუებულნი არიან. "ჩვენ არ ვითხოვდით იმას, რომ ჩეხოსლოვაკიის ნაკრებისთვის ჩამოერთმიათ ბრინჯაოს მედლები, არამედ მედლების მეორე კომპლექტს მოვითხოვდით", - განაწყენებული აცხადებდა კანადის ჰოკესიტთა ასოციაციის პრეზიდენტი ბობ ნიკოლსონი.

ფოსტა

# სადისციპლინო კომიტეტის დასჯას, ეგებ პროფლიგის დაშლა სჯობდეს

ცოტა არ იყოს გამაკვირვა გაზეთ "სპორტის" 19 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა "უპრინციპო სტკ დასაშლელია! დამსჯელებს თავად დასჯიან", რომელიც კვირას გამართულ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის (და არა სპორტულ-ტექნიკური კომიტეტის!) საგანგებო სხდომას მიეძღვნა. საქმე ეხებოდა "პროფესიული ფეხბურთის ლიგის მონდომებით" აღდგენილი სუპერთასის გათამაშების მატჩის დროს გაძევებული ორი ფეხბურთელის დასჯას.

კომიტეტის მიმართ პრეტენზიას გამოთქვამს პროფლიგის პრეზიდენტი. თურმე, ნუ იტყვით და, ჩვენი უპრინციპობა და ლმობიერება ხელს უშლის ქართულ ფეხბურთში წესრიგის დამყარებას.

მინდა გითხრათ, რომ კომიტეტმა განიხილა საკითხი და მზად იყო სათანადო სასჯელი გამოეტანა სადისციპლინო კოდექსის 2.1 მუხლის შესაბამისად, რომელიც მსაჯების და ოფიციალური პირების სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის გაძევებული ფეხბურთელისთვის ითვალისწინებს ორმატჩიან დისკვალიფიკაციას და ჯარიმას 300 ლარის ოდენობით. ეს იმ ნუსხაშია მითითებული, რაზეც პროფლიგის პრეზიდენტი საუბრობს.

მაშ, რატომ არ განიხილა საკითხი პროფლიგის სადისციპლინო სამსახურმა (რისი იურიდიული უფლებაც ჰქონდა) და რატომ გადასცა განსახილველად სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტს, როგორც განსაკუთრებული შემთხვევა? მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფა ხომ არ ითვლება "განსაკუთრებულ საკითხად", რადგან ამ დანაშაულისათვის გამარტივებული წესით დასჯაც არის შესაძლებელი. იმიტომ ხომ არა, რომ სუპერთასისათვის მატჩი საერთოდ არ არის მითითებული წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების რეგლამენტში?!

ამასვე ადასტურებს პროფლიგის პრეზიდენტი, როდესაც ამბობს, რომ "სუპერთასის გათამაშების თაობაზე ჩემპიონატის ჩატარების რეგლამენტში არაფერი იმის გამო არ ეწერა, რომ წლევანდელი ზაფხული გადატვირთული აღმოჩნდა. ჯერ იყო არჩევნები, შემდეგ პირველობის ჩატარების ფორმატზე გამახვილდა ყურადღება და სუპერთასის გამართვა მოგვიანებით გადაწყდა".

ზაფხული მართლაც ცხელი იყო და არჩევნებიც ივნისის დასაწყისში ჩატარდა. საინტერესოა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებისას რა ისეთი ჯაფა დაადგა პროფლიგას, იმის გარდა, რომ მის ერთ წარმომადგენელს თავისი ნება ბიულეტენის ყუთში ჩაგდებით უნდა გამოეხატა. ნუთუ სუპერთასის გათამაშების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ასე ძნელი იყო დოკუმენტურად იმის დაფიქსირება, რომ სუპერთასისათვის მატჩი ეროვნული ჩემპიონატისა და თასის გათამაშების რეგლამენტის შესაბამისად ჩატარდებოდა. ყოველ შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტი პროფლიგის წარმომადგენელს სადისციპლინო კომიტეტისათვის არ წარმოუდგენია.

როგორც ამბობენ, პრესაში წინასწარ გაცხადდა, რომ ჩემპიონატის და თასის გათამაშებაში მიღებული ყვითელ-წითელი ბარათები არ იმოქმედებდა. არც სუპერთასისათვის მატჩში მიღებული სასჯელი არ გადავიდოდა საპირისპირო მიმართულებით, თუკი რაიმე განსაკუთრებულს არ ჩაიდენდნენ ფეხბურთელები.

განა შეიძლება, რომ საგაზეთო პუბლიკაცია ოფიციალურ დოკუმენტად მივიჩნიოთ და მას კანონის ძალა გააჩნდეს?

ასე რომ, პროფლიგის პრეზიდენტს ტყუილად აკვირვებს ჩვენი განცხადება, - "თუ არ წერია, მოთამაშეებს ვერ დავსჯით". დიახ, თუ არ წერია, თანაც ოფიციალურად, უკანონოდ ვერავის ვერ დავსჯით. მით უმეტეს, ვის-ვის და დღევანდელი სადისციპლინო კომიტეტის წევრებს მაინც ნამდვილად არ ეშლებათ, სად და რა სახით გამოქვეყნებულ მასალას აქვს კანონის ძალა. ვერც იმას გვასწავლის ვინმე, თუ როგორ უნდა საინფორმაციო იერიშების განხორციელება, რისი საფუძველიც, ნამდვილად მრავლად მოგვეპოვება. თუმცა, ამის გაკეთებას, საკუთარი შეცდომებისა თუ უსუსურობის დაფარვის მიზნით არასოდეს ვიკადრებთ და არც გვჭირდება.

ისე კი, ვიდრე სადისციპლინო კომიტეტის წევრებს განსჯიდეთ და დასჯიდეთ, ეგებ თვითონ პროფლიგას ეფიქრა სათანადო რეფორმებზე, რათა ჩემპიონატის ჩატარებას აზრი ჰქონდეს. იქნებ სტრატეგული მიზნის მისაღწევად მაინც შეცვალოს ტაქტიკა. სანამ გვიან არ არის.

დაბოლოს. რაც შეეხება სადისციპლინო კომიტეტის შემადგენლობას, პირადად მე, თუკი ქართული ფეხბურთის განვითარებას ვუშლი ხელს, მზად ვარ საზოგადოებრივ საწყისებზე დაკავებულ ამ თანამდებობაზე უარი ვთქვა, თუმცა, ღრმად მწამს, რომ ჩემამდე ფეხბურთის განვითარებაზე "მზრუნველმა" შტატიანმა ჩინოვნიკებმა უნდა მიიღონ ასეთი გადაწყვეტილება.

უმჯობესი იქნება, პროფლიგის ხელმძღვანელი, სადისციპლინო კომიტეტის საქმიანობის განხილვამდე, ჯერ საკუთარ მომავალზე ესაუბროს თბილისში დაბრუნებულ სფფ პრეზიდენტს ბატონ ნოდარ ახალკაცს, რომელიც, ვფიქრობ, მას განსაკუთრებული გულისყურით მოუსმენს.

***ტატო ლასხიშვილი***
*საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარე*


# საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

საიდენტიფიკაციო ნომერი: KTS/204
მსოფლიო ბანკის კრედიტი №3701-GE

### ქ. ქუთაისში სულხან-საბას და წერეთლის ქუჩების კაპიტალური შეკეთება

1. საქართველოს მუნიცეპალური განვითარების ფონდი იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე) დაინტერესებულ ორგანიზაციებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტები საკონკურსო წინადადებით.
   ა) ქ. ქუთაისში სულხან-საბას ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს დაახლოებით 30000 მ მონაკვეთზე ა\ბეტონის საფარის და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი №KTS\204\01). სამუშაოების ხანგრძლივობაა 3 თვე.
   ბ) ქ. ქუთაისში წერეთლის ქუჩის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების წარმოებაზე, რაც მოიცავს დაახლოებით 40000 მ მონაკვეთზე ა\ბეტონის საფარის და ბორდიურების მოწყობას, სანიაღვრე ქსელის მოწყობას, 1400 გრძ.მ. წყალსადენის განშტოებების მოწყობას და სხვა სამუშაოებს (კონტრაქტი №KTS\204\02). სამუშაოების ხანგრძლივობაა 5 თვე.

   კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ წარმოადგინონ განაცხადი ორივე ან ნებისმიერი ერთ-ერთი კონტრაქტისათვის.
2. ტენდერი ჩატარდება საერთაშორისო საკონკურსო ვაჭრობის პროცედურების მიხედვით მსოფლიო ბანკის შესყიდვების წესების შესაბამისად (1995 წლის გამოცემა, განახლებული 1996, 1997 და 1999 წლებში). ადგილობრივ კონტრაქტორებს მიენიჭებათ პრეფერენციული შეღავათი.
3. კონკურსის მონაწილის მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამშენებლო სამუშაოების საშუალო წლიური მოცულობა უნდა იყოს:
   კონტრაქტი №KTS\204\01: მინიმუმ 4,300,000 (სამიმილიომცხრაასიათასი) აშშ დოლარი ან ექვივალენტი.
   კონტრაქტი №KTS\204\02; მინიმუმ 3,900,000 (სამიმილიონცხრაასიათასი) აშშ დოლარი ან ექვივალენტი.
   მონიმალური ლიკვიდური აქტივებისა და კრედიტის მოზიდვის საშუალებების თანხა (კონკურსის მონაწილის სხვა ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო თანხის გამოკლებით) უნდა იყოს:
   კონტრაქტი №KTS\204\01: მინიმუმ 700,000 (შვიდასიათასი) აშშ დოლარი ან ექვივალენტი;
   კონტრაქტი №KTS\204\02: მინიმუმ 900,000 (ცხრაასიათასი) აშშ დოლარი ან ექვივალენტი.
4. საკონკურსო დოკუმენტაცია (და აგრეთვე დამატებითი ასლები) იგლისურ ენაზე კონკურსის მონაწილეებს შეუძლიათ შეიძინონ მუნიცეპალური განვითარების ფონდში მისამართზე: იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი, 0105. ტელ: 94-32-40, 94-29-47, 92-34-69, თითოეული კომპლექტისათვის (რომელიც შიცავს ორივე კონტრაქტს) აუნაზღაურებადი 180 ლარის (ან 100 აშშ დოლარის) გადახდისას შემდეგ ანგარიშზე:
   ბანკი "რესპუბლიკა", გრ. აბაშიძის 2, თბილისი, კოდი: 220101757
   ლარის ანგარიში № 3834080001
   დოლარის ანგარიში № 334180001
   ბენეფიცარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
   კონკურსანტის მოთხოვნის საფუძველზე საკონკურსო დოკუმენტაცია გაიგზავნება მითითებულ მისამართზე ფოსტით. თუკი კონკურსანტი მოითხოვს საკურიერო მომსახურებას, დოკუნეტაცია გაიგზავნება საკურიერო ფოსტით მიმღების ხარჯზე. დაინტერესებულ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია ზემოაღნიშნულ მისამართზე.
5. საკონკურსო წინადადებები წარმოდგენილი უნდა იყოს მისამართზე: საქართველს მუნიცეპალური განვითარების ფონდი, ოთახი 302, იეთიმ გურჯის ქ. №7ბ, თბილისი 0105, არაუგვიანეს 2005 წლის 3 ნოემბრის 13:00 საათისა. ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს წინადადების საბანკო გარანტია 26000 (ოცდაექვსიათას) ლარზე (ან ექვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში) კონტრაქტი №KTS\204\01-სთვის, 39000 (ოცდაცხრამეტიათას) ლარზე (ან ექვივალენტურ თანხაზე თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში) კონტრაქტი №KTS\204\02-სთვის. საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიცეპალური განვითარების ფონდში, იეთიმ გურჯის ქ, №7ბ, 0105 თბილისი, 2005 წლის 3 ნოემბერს 13:00 საათზე კონკურსის იმ მონაწილეთა თანდასწრებით, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს დაესწრონ წარმოდგენილი წინადადებების გახსნის პროცედურას.
6. დაგვიანებული წინადადებები უარუოფილ იქნება და დაუბრუნდება წარმომდგენს გაუხსნელად.



**საქართველოს მთავრობამ მიიღო სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდიდან N543-Ge კრედიტი მთიანი და მაღალმთიანი რეგიონების სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამის განხორციელებისათვის. პროგრამა მუშაობს 4 რაიონში - ასპინძა, ამბროლაური, დუშეთი და შუახევი. პროგრამის ძირითადი მიზანია - სოფლის მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა.**
პროგრამა მუშაობს შემდეგ ძარათად მიმართულებებში: მობილიზაცია, სოფლის მოსახლეობის შემოსავლების გაზრდა, ინფრასტუქტურის განვითარება, მიწის ეროზიის კონტროლი.

**საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს კონკურსს პროგრამის მართვის ცენტრში შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:**

1. **პროგრამის დირექტორი**
**ძირითადი მოვალეობები** - პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფა სტრატეგიის თანახმად, წლიური გეგმებისა და ბიუჯეტის შედგენის გამოცდილება, პროგრამის კონცეფციის განვითარება, პროგრამის გავლენის უზრუნველყოფა და შეფასება, პროგრამის ანგარიშების მართვა, საკრედიტო ხაზის მონიტორინგი, გენდერული პროექტის ზედამხედველობა; გაძლიერებული უწყვეტი კავშირების უზრუნველყოფა მართვის ცენტრის, დონორსა და საკოორდინაციო კომიტეტს შორის, პროგრესს ანგარიშების მომზადება და წარდგენა, სასწავლო სემინარების და კვლევების ორგანიზება.
**ძირითადი მოთხოვნები** - დიპლომი ეკონომიკაში, ადმინისტრირებაში, სოფლის მეურნეობაში ან ფინანსებში, 5-10 წლის საერთაშორისო პროგრამების მართვის გამოცდილება, გამოცდილება აგრობიზნესში და სოფლის მეურნეობაში, ლიდერობის და გუნდის მშენებლობის მეთოდების ცოდნა, კომპიუტერული პროგრამებისა და ინგლისური ენის ცოდნა.

2. **საკრედიტო/აგრობიზნესის სპეციალისტი**
**ძირითადი მოვალეობები** - წლიური გეგმისა და ბიუჯეტის მომზადება პროგრამის ფინანსური კომპონენტისათვის, სესხების მიმღების საქმიანობის მონიტორინგი, ბანკებიდან მიღებული ბიზნეს გეგმების შეფასება, რეინვესტირების სისტემის განვითარება, პრობლემატური კრედიტების განსაზღვრა, რისკის შეფასება, საბაზრო ეკონომიკის განვითარების ანალიზირება;
**ძირითადი მოთხოვნები** - დიპლომი ეკონომიკაში, საბანკო საქმიანობაში, ან აგრობიზნესში, ფინანსური და საკრედიტო სისტემების ცოდნა, მინიმუმ 5 წლის კომერციულ ბანკში კრედიტებთან მუშაობის გამოცდილება, სოფლის მეურნეობისა და მარკეტინგის საბაზისო ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, პრიორიტეტი ენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

3. **ფინანსური მენეჯერი/ შესყიდვების სპეციალისტი**
**ძირითადი მოვალეობები** - წლიური ბიუჯეტის მომზადება გეგმის თანახმად, ფინანსური ანგარიშების მომზადება, თანხების შევსების მოთხოვნების მომზადება, პროგრამის ყველა ანგარიშების მენეჯმენტი, ხარჯების დროული და ზუსტი აღრიცხვა, საქონლის, სამუშაოებისა და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვების განხორციელების ორგანიზება სახელმძღვანელოების თანახმად;
**ძირითადი მოთხოვნები** - დიპლომი ეკონომიკაში ან ფინანსებში, საბუღალტრო აღრიცხვის სისტემების ცოდნა, სახელმწიფო საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნა, მინიმუმ 3 წლის გამოცდილება ფინანსური დაგეგმარებისა და მენეჯმენტის საელთაშორისო პროექტებში, ბიუჯეტის შედგენის გამოცდილება, საქონლის, კონსულტანტებისა და სამუშაოების შესყიდვების პროცედურებუს ცოდნა, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა მაღალ დონეზე, ინგლისური ენის ცოდნა აუცილებელია.

4. **ბუღალტერი**
**ძირითადი მოვალეობები** - ყოველდღიური მუშაობა პროგრამის საბუღალტრო სისტემაში, საბუღალტრო ფორმების მომზადება, დროული გადახდების განხორციელება, საბუთების არქივიზაცია, საგადასახადო სისტემასთან შეუფერხებელი მუშაობა.
**ძირითადი მოთხოვნები** - დიპლომი ეკონომიკაში ან ფინანსებში, აღიარებული საბუღალტრო კვალიფიკაცია, სახელმწიფო საგადასახადო კანონმდებლობის ცოდნა, მინიმუმ 5 წლის საბუღალტრო გამოცდილება, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა მაღალ დონეზე, პრიორიტეტი ენიჭება ინგლისური ენისა და საერთაშორისო პროგრამების მოთხოვნების ცოდნას.

5. **სოფლის მეურნეობის სპეციალისტი**
**ძირითადი მოვალეობები** - სადემონსტრაციო ახალი ტექნოლოგიების განსაზღვრა, მომსახურე სააგენტოების ზედამხედველობა, მონაცემთა ბაზის შექმნა, სოფლის განვითარების გეგმების განხილვა, საკრედიტო ბიზნეს-გეგმების განხილვა, პროგრესის მონიტორინგი მომავალი განვითარების გეგმების შედგენის მიზნით, თანამედროვე საერთაშორისო მექანიზაციის ტექნოლოგიების განსაზღვრა, პერმანენტულად გეგმებისა და ანგარიშების მომზადება.
**ძირითადი მოთხოვნები** - დიპლომი სოფლის მეურნეობის დარგში, მინიმუმ 5 წლის გამოცდილება სოფლის მეურნეობის განვითარებაში, კომპიუტერული პროგრამების ცოდნა, პრიორიტეტი ენიჭება ინგლისური ენის ცოდნას.

რეზიუმეს და დაინტერესების გამოხატვის წერილის წარდგენის ბოლო ვადაა - 2005 წლის 30 სექტემბრის 17:00 საათი. საბუთები წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:
კოსტავას ქ. 41, ოთ. 501; ფაქსით: 923974; ან ელ. ფოსტით pmu@rdpmha.org.ge
დაკავშირება მოხდება მარტო მოკლე სიაში შეყვანილ კანდიდატებთან.

# ლაშა და 26 სექტემბერი

**ლაშა ბუღაძე:** მალე სასწავლო წელი დაიწყება და 26 სექტემბრიდან აქტუალური გახდება სახელმძღვანელოების, სწავლების მეთოდისა და სხვა საკითხები. ჩემი გადაცემის სტუმრები არიან 55-ე სკოლის დირექტორი პაატა ჩიქოვანი და გამომცემელი ბაკურ სულაკაური, რომელიც კერძო სკოლის მფლობელიცაა. წელს სწავლა 26 სექტემბერს იწყება. თქვენ რას ფიქრობთ ამ სიახლის შესახებ?

**ბაკურ სულაკაური:** მთავარია სწავლა იწყებოდეს ორშაბათ დღეს, სხვას მნიშვნელობა არ აქვს. ხანდახან 1 სექტემბერი ემთხვეოდა პარასკევს, ხან შაბათ-კვირას. სხვა საკითხია უნდა იწყებოდეს თუ არა სწავლა ასე გვიან - 26 სექტემბერს. ვფიქრობ ეს თარიღი მეტად გვიანია. ასევე ფიქრობდა განათლების სამინისტროც, რომლის გამოთვლითაც სწავლა სექტემბრის მესამე ორშაბათს, ანუ 19 სექტემბერს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო 26-მდე გადაიწია. უფრო ოპტიმალურად მიმაჩნია, რომ სწავლა მეორე ან მესამე ორშაბათს იწყებოდეს.

**პაატა ჩიქოვანი:** 1 სექტემბერი მაინც სხვაა. ეს დღე მხოლოდ სკოლასთან, მეგობრებთან და სხვა სიხარულთან იყო დაკავშირებული. მაგრამ ახლა ქვეყანაში ისეთი პროცესი მიდის, რამაც სწავლის დაწყების თარიღი იძულებით გადასწია.

**ლაშა ბუღაძე:** როგორ ხვდება 55-ე სკოლა ახალ სასწავლო წელს?

**პაატა ჩიქოვანი:** ბევრი რამ გაკეთდა ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა ხელშეწყობით. რამდენიმე მათგანმა საკუთარი სახსრები გაიღო იმისთვის, რომ სკოლა შეგვერემონტებინა და ინვენტარიც გამოგვეცვალა. დაგვეხმარა "სახალხო ბანკიც".

**ლაშა ბუღაძე:** ბაკურ, რატომ გაგიჩნდა კერძო სკოლის გახსნის იდეა?

**ბაკურ სულაკაური:** ჩემი სკოლაც 26 სექტემბერს იწყებს მუშაობას. მართალია, ჯერ მხოლოდ 3 კლასი გვყავს, მაგრამ მომავალში კლასებს კიდევ შევმატებთ. თავად ვმუშაობდი სკოლის მასწავლებლად 8 წლის განმავლობაში. შემდეგ თავადაც მომინდა საკუთარი სკოლის დაარსება,



გადაცემის სტუმარი ბაკურ სულაკაური.

რადგან ამ სფეროში გარკვეული გამოცდილება უკვე მქონდა. გარდა ამისა, საგამომცემლო საქმიანობა, გარკვეულწილად, პირდაპირ კავშირშია განათლებასთან. ჩემს სკოლაში სწავლის პროცესი ჩვეულებრივად განხორციელდება - ისე, როგორც ახალი ეროვნული სასწავლო გეგმითაა გათვალისწინებული. თუმცა, ამავე დროს, ეს სკოლა იქნება ერთგვარი პოლიგონი, ლაბორატორია, სადაც ჯერ კიდევ გამომცემლობაში დაგეგმილი ბევრი ახალი მეთოდი და იდეა განხორციელდება. ჩვენი მიზანია, რომ ვითანამშრომლოთ სხვა სკოლებთანაც, სხვადასხვა ორგანიზაციებთან, გადამზადების კურსებთან, სხვა გამომცემლობებთან. მოხდება ახალი მეთოდების განხილვა და იდეების განვითარება.

**ლაშა ბუღაძე:** ბატონო პაატა, რამდენად ხორციელდება სკოლებში საშუალო განათლების სისტემის რეფორმა? შესაძლებელია თუ არა, რომ მხოლოდ სასკოლო განათლების მქონე ბავშვი უმაღლეს სასწავლებელში მოხვდეს და არ დასჭირდეს რეპეტიტორებთან მომზადება?

**პაატა ჩიქოვანი:** ჩემი მიზანი არ არის, რომ სკოლამ მოსწავლე უმაღლესი სასწავლებლისთვის მოამზადოს. მთავარია, ბავშვი აზროვნების იმ ფორმამდე მივიყვანოთ, როდესაც თავად შეუძლია გადაწყვიტოს, რა სპეციალობას უნდა დაეუფლოს, ან საერთოდ, უნდა თუ არა სწავლის გაგრძელება. მეცხრე კლასელმა უკვე უნდა გააკეთოს არჩევანი, რაშიც სკოლა ყველანაირად უნდა დაეხმაროს. თუ ბავშვი ფეხბურთზე დადის და ამის გამო გაკვეთილების გაცდენა უწევს, მას საყვედურს არავინ ეტყვის, რადგან მისი მომავლისთვის ასეა საჭირო. ახალი რეფორმა ამასაც ითვალისწინებს.

**ლაშა ბურაძე:** რეფორმის შემდეგ გაგრძელდება დიფერენცირებული სწავლება?

**პაატა ჩიქოვანი:** ეს დამოკიდებულია სკოლის ხელმძღვანელობასთან. სწავლების მეთოდს სკოლა ირჩევს, რაც მის რეიტინგზეც მეტყველებს.

**ლაშა ბუღაძე:** კონკრეტულად, რითი განსხვავდებიან კერძო და სახელმწიფო სკოლები?

**ბაკურ სულაკაური:** ერთადერთი ფორმალური განმასხვავებელი არის ის, რომ კერძო სკოლაში სწავლება ფასიანია. მშობელი ფულს იხდის და იგი დაინტერესებულია, რომ მისმა შვილმა მაქსიმალურად მიიღოს ის ცოდნა, რაშიც შესაბამისი თანხა გადაიხადა. ასეთი მოთხოვნები ნაკლებად აქვთ სახელმწიფო სკოლასთან.

**ლაშა ბუღაძე:** რა ეღირება შენს სკოლაში სწავლა?

**ბაკურ სულაკაური:** წელიწადში 1 800 ლარი, თუმცა ამ თანხაში შედის ბავშვების სწავლის, ტრანსპორტირების, ორჯერადი კვების და ყველა სასწავლო ნივთის საფასური. ანუ მშობელი იხდის ერთხელ და იღებს ყველაფერს.

**მსმენელი:** არ ვეთანხმები ბატონ პაატას, როდესაც განაცხადა, რომ თუ ბავშვი ფეხბურთზე დადის, შეუძლია გაკვეთილების გაცდენა. ნებისმიერ ხელოვანს თუ სპორტსმენს სჭირდება ელემენტარული განათლება. გარდა ამისა, დავინტერესდი ბაკურ სულაკაურის სკოლით.

**ბაკურ სულაკაური:** ჩვენი სკოლა მდებარეობს დიდუბის პანთეონის უკან, გაფრინდაულის 6 ნომერში.

**პაატა ჩიქოვანი:** უბრალოდ, ბავშვს ყველანაირად შევუწყობ ხელს, რომ საკუთარი ინტერესების სფეროში წარმატებას მიაღწიოს. სხვა მხრივ, როგორ შეიძლება, სკოლის დირექტორმა ბავშვს მოუწოდოს, არ ისწავლოს რომელიმე საგანი.

**ლაშა ბუღაძე:** არის თუ არა გადასახადები სახელმწიფო სკოლაში?

**პაატა ჩიქოვანი:** რეფორმის დიდი დამსახურება სწორედ ის არის, რომ მშობელს არ უწევს არაფრის გადასახადი. მხოლოდ ნებაყოფლობითი გადასახადი არსებობს, რომელსაც საკუთარი სურვილით იღებენ მშობლები ან სკოლის კურსდამთავრებულები.

**ლაშა ბუღაძე:** ბაკურ, როგორ შეუწყობ შენს სკოლაში ხელს რაიმე განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეს?

**ბაკურ სულაკაური:** ჩემი აზრით, თუ ბავშვი რაიმე სფეროში ნიჭიერია, არ ნიშნავს, რომ მის შემთხვევაში სწავლება არ უნდა განხორციელდეს სხვა სფეროშიც. არსებობს სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული სტანდარტები, ეროვნული სასწავლო გეგმები, რომელშიც მოცემულია სასწავლო მიზნები თითოეული კლასისთვის. ამ გეგმის დაძლევა შეუძლია საშუალო დონის მოსწავლესაც. თუ ბავშვი, ვთქვათ, ტექნიკურ საგანში ნიჭიერია, არ ნიშნავს, რომ სხვა საგანში საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი აქვს.

**ლაშა ბუღაძე:** რა კრიტერიუმებით არჩევ მასწავლებლებს?

**ბაკურ სულაკაური:** ეს რთული სისტემაა. მასწავლებელს ვარჩევ სწავლის დაწყებამდე 8 თვით ადრე. ვამოწმებთ სპეციალური ტესტით, პირველ რიგში, ქართულ ენაში, შემდეგ ზოგად განათლებაში. შემდეგ ხდება მათი გადამზადება მეთოდიკაში, ბავშვის ფსიქოლოგიასა და პედაგოგიკაში. მასწავლებლების გადამზადება სკოლის ვალდებულებაა. ჩემს სკოლას ექნება მხოლოდ ერთი პრიორიტეტი - ერთიანი ეროვნული გეგმის განხორციელება. გვსურს, რომ დადგენილი სტანდარტები ბოლომდე განვახორციელოთ, რის გარანტიასაც ვიძლევი.

**ლაშა ბუღაძე:** ვიცი, რომ თავად შეიმუშავე სახელმძღვანელოების პროგრამა.

**ბაკურ სულაკაური:** ეს სახელმძღვანელოები აპრობაციას გადის განათლების სამინისტროში და თუ ტესტირებას წარმატებით გაივლიან, მათი მოხმარება სხვა სკოლებსაც შეეძლებათ.

**ლაშა ბუღაძე:** სკოლებში პოპულარულია მშობელთა სამეურვეო საბჭოების თემა. როგორ აფასებთ ამ მოვლენას?

**ბაკურ სულაკაური:** ვინაიდან კანონი არ ითვალისწინებს კერძო სკოლებში სამეურვეო საბჭოს არსებობას, მსგავსი რამ ჩვენთან არ იქნება.

**პაატა ჩიქოვანი:** მსგავსი საბჭოები მისასალმებელი მოვლენაა, რაც სკოლაში სწავლებისა და მენეჯმენტის პროცესს გამჭვირვალეს ხდის.

**ლაშა ბუღაძე:** რა მდგომარეობაა სკოლაში ნარკომანიასა და კრიმინალთან დაკავშირებით?

**პაატა ჩიქოვანი:** ვთხოვ ყველა შესაბამის ორგანოს, რომ ამ მხრივ შემოწმება ყველა სკოლაში დაიწყონ. უნდა შემოწმდნენ მასწავლებლებიც. იყო შემთხვევები, როდესაც სკოლადამთავრებულები სკოლის ტერიტორიაზეც მოიხმარდნენ ნარკოტიკს. გარდა ამისა, მოსწავლეებსაც ატერორებდნენ და ფულს ართმევდნენ. თუ ასე გაგრძელდება, ხელთ დაკარგული თაობა შეგვრჩება.

**ბაკურ სულაკაური:** როდესაც კლასში 50 მოსწავლე ზის, ამ პროცესის კონტროლი მასწავლებლისთვის ძნელია. კერძო სკოლაში კი მეტი შესაძლებლობაა იმისთვის, რომ პედაგოგი ინდივიდუალურად მუშაობდეს ბავშვთან. გარდა ამისა, კერძო სკოლაში ყველა პირობაა იმისთვის, რომ მოსწავლე რაც შეიძლება მეტ ხანს დარჩეს სკოლაში. აქ არის მეტი კომფორტი და საინტერესო გარემო.

# ქალაქი - საიდუმლო



სამსონ ლეჟავა

თბილისი მართლაც მრავალი საიდუმლოთი მოცული ქალაქი რომ არ იყოს, ასეთ დიდ ცნობისწადილს, და თანაც საუკუნეთა მანძილზე, არ გამოიწვევდა. საგულისხმოა, რომ ამჟამადაც - თბილისში ცხოვრობს ბევრი არაორდინარული და ამასთან, ხშირად მოკრძალებული, თავმდაბალი ადამიანი, ხოლო საცხოვრებელთა ინტერიერები არაიშვიათად, განსაკუთრებულ საგანძურს წარმოადგენს - სწორედ მრავალშრიანი კულტურული მეხსიერების თვალსაზრისით. ახლა მივიწყებულ, თავის დროზე კი გამორჩეულ პიროვნებათა მემკვიდრეების ბევრ ოჯახურ კერაში, ჯერაც ცოცხალია მათი დანატოვრის კვალი, რომლისადმი ყურადღების მიპყრობა ბევრს გვატყობინებს მთლიანად ქალაქის "სულზე", მის ბიოგრაფიაზე...

ვფიქრობ, არ იქნებოდა ურიგო თავისებური "მოგზაურობის" მცდელობა ჩვენი ქალაქის საიდუმლოთა შესამეცნებლად. ასეთი რამ იქნებ ოდნავ მაინც დაგვეხმაროს, დავძლიოთ გაუცხოება, როგორც საკუთარი ქალაქის თავგადასავლისადმი, ისე მისი თუნდაც შეფარული, მაგრამ შემოქმედებითი დღევანდელობისადმი. მხოლოდ პოლიტიკოსთა, თუ "ვარსკვლავთა" მეტწილად ბანალური ისტორიები - ვფიქრობ, ბევრი არაფრის მომტანია, ხოლო დღეს აუტსაიდერულად ქცეულ, მაგრამ ჩვენს ქალაქში ნამდვილ ღირებულებათა მატარებელ სივრცეებთან ზიარება ბევრად საინტერესოც შეიძლება აღმოჩნდეს.

შევთანხმდეთ, რომ მოგზაურობა დაწყებული გვაქვს - შემდგომ წერილში კი, უკვე კონკრეტული "მარშრუტიც" იქნება შერჩეული.

# ნიკოლ კიდმანის მაგია

## კინოთეატრმა "რუსთაველმა" ახალი სეზონი გახსნა



ია ვეკუა

კინოთეატრ "რუსთაველში" ყველაფერი მზადაა - ფოიეში გაშენებული იმპროვიზებული ქალაქი დასუფთავებულია, შევსებულია პოპკორნის მარაგი და, რაც მთავარია, მაყურებელისთვის ახალი ფილმებიც ჩამოტანილია. განახლებულმა "რუსთაველმა" გუშინ მეექვსე სეზონი გახსნა, ზაფხულის განმავლობაში დასვენებულ მაყურებელს კი დასაწყისისთვის შედარებით ადვილად "გადასამუშავებელი" პროდუქცია შესთავაზეს.

თუმცა ახალ ფილმებზე არანაკლებ საინტერესო ის პროექტებია, რომელსაც კინოთეატრი წელს გეგმავს. უკვე თითქმის მზადაა ორი ახალი მცირე დარბაზი. მათი გახსნა ორ თვეშია დაგეგმილი და მაყურებელთა განსაზღვრულ კონტინგენტზე იქნება გათვლილი. ერთ-ერთი მათგანი კინოინტელექტუალებს დააინტერესებს, რადგან მის ეკრანზე მხოლოდ მაღალი ფასეულობის მქონე ფილმების კადრები გაიელვებს. ამ ფილმებს ორიგინალის ენაზე უჩვენებენ, ხოლო მათ, ვისაც პოლიგლოტური თვისებები არ ახასიათებს, ქართულ თარგმანს ტიტრების სახით შესთავაზებენ.

მეორე მცირე დარბაზი უფრო მსუბუქი კინოს მოყვარულებს დააინტერესებს. ეს სივრცე საბავშვო და კომედიური ჟანრის ფილმებს დაეთმობა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ძირითადი დარბაზის გადავსების შემთხვევაში (მსგავსი რამ, ალბათ, მსოფლიო პრემიერებსა და სუპერბლოკბასტერების სეანსებისას მოხდება) იქ მაყურებელთა გარკვეული ნაწილიც განთავსდეს.

ვიდრე ეს დარბაზი ამუშავდება, მანამდე საბავშვო ფილმების მოყვარულები დიდი დარბაზს უნდა ესტუმრონ. გუშინ "რუსთაველმა" "შარკისა და ლავას თავგადასავლის" ჩვენება დაიწყო. მართალია, ფილმის სიუჟეტზე ბევრს ვერაფერს გეტყვით, იმას მაინც აღვნიშნავთ, რომ ფილმი სტერეო სისტემისაა და მისი ყურება მხოლოდ სპეციალური სათვალის მეშვეობითაა საინტერესო. სხვა შემთხვევაში სათანადო ეფექტს ვერ მიიღებთ, ეფექტი კი საკმაოდ შთამბეჭდავია, რადგან სამგანზომილებიანი გამოსახულება ფილმს სამჯერ უფრო საამოდ საცქერს ხდის.

შუა სექტემბერში კიდევ ერთი ახალი ფილმის პრემიერა შედგა. "ჯადოქარი" რომანტიკული კომედიის ჟანრის ფილმია და ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი მსუბუქი იუმორითა და ბედნიერი დასასრულითაა დატვირთული. საინტერესო კი ისაა, რომ ფილმში მთავარ როლს ნიკოლ კიდმანი ასრულებს. როგორც ჩანს, მას მობეზრდა "დოგვილის" ტიპის "შავთეთრ" ფილმებში მონაწილეობა და საკუთარი ცხოვრების გახალისების მიზნით ასეთი "ფერადი" პროექტი აირჩია. გარდა ამისა, ნიკოლ კიდმანს უკვე მეორედ უწევს ჯადოქრის როლის შესრულება - პირველად ცოცხზე სანდრა ბალოკთან ერთად შეჯდა "პრაქტიკულ მაგიაში".

კიდმანს პარტნიორობას ამერიკული კომედიის ერთ-ერთი "მამა" უილ ფარელი უწევს. იგი ჰოლივუდის მსახიობს თამაშობს, რომლის კარიერა ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება. ერთხელაც გადაწყვეტს, რომ მომავალ ფილმში პარტნიორად არა პროფესიონალი ვარსკვლავი, არამედ ჩვეულებრივი გოგონა აირჩიოს. კიდმანის გმირს იზაბელ ბიგელოუს როლზე დაამტკიცებენ. სიუჟეტის თანახმად მან ჯადოქარის როლი უნდა შეასრულოს, თუმცა ფილმის ბოლოს აღმოჩნდება, რომ იზაბელი, მართლაც, ფლობს მაგიურ თვისებებს. ფილმში აგრეთვე მონაწილეობენ მაიკლ კეინი და შირლი მაკლეინი.

# "შეყვარებული შექსპირის" ავტორისგან

## ვენეციური შთაბეჭდილებები

ნინია კაკაბაძე

ალბათ ყველას შეგიმჩნევიათ, ქართული საინფორმაციო გამოშვებების ბოლოს არსებობს რუბრიკა - "ახლა კი უცხოეთის ამბები". ერთ-ერთ ასეთ "უცხოეთის კულტურულ ამბებში" გავიდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რამდენიმე დღის წინ ახალი ამერიკული ფილმის ოფიციალური პრემიერა გაიმართა. ფილმი, რომელშიც გვინეთ პელთროუ, ენტონი ჰოპკინსი და ახალი ამერიკული სახე ჯეიქ ჯილენჰოლი მონაწილეობენ. ფილმი **PROOF** ვენეციის 62-ე საერთაშორისო კინოფესტივალზეც იყო წარმოდგენილი საკონკურსო კინოჩვენებაში. სანამ სცენარის ავტორი დეივიდ ობორნი და ფილმის რეჟისორი ჯონ მადენი მის საეკრანო ვერსიას შექმნიდნენ, მანამდე ის ლონდონის ერთ-ერთი თეატრის სცენაზე დადგეს. კრიტიკოსები, რომლებსაც დეივიდ ობორნისა და ჯონ მადენის ერთობლივი ნამუშევარი სცენაზე აქვთ ნანახი, ამბობენ, რომ საეკრანო ვერსია გაცილებით სუსტი იყო. სპექტაკლი **PROOF** უფრო ემოციური, ინტიმური და შთამბეჭდავია.

ფილმის რეჟისორის ჯონ მადენის ყველაზე ცნობილი ნამუშევარი კინოში "შეყვარებული შექსპირია", რომელიც 1999 წელს ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე იყო წარმოდგენილი. ამავე წელს ფილმი ერთ-ერთი ნომინანტი იყო ოსკარზე და ბოლოს - ფილმი "შეყვარებული შექსპირი" ვიდეოგაქირავებაში ერთ-ერთი ლიდერი გახდა. მისი მომდევნო ფილმი (ექვსწლიანი პაუზის შემდეგ) **PROOF** სრულიად განსხვავებულ სტილში შესრულებული ნამუშევარია.

ცნობილი მათემატიკოსის (ენტონი ჰოპკინსი) ქალიშვილი (გვინეთ პელთროუ) მამის სიკვდილის შემდეგ იზოლირებულ ცხოვრებას ეწევა, ნაკლებად ურთიერთობს გარე სამყაროსთან, მათემატიკის სწავლას თავს ანებებს და ძირითადად მამის სულს ესაუბრება. ფაბულას თითქოს ისევ შექსპირთან მივყავართ, მაგრამ ეს მოჩვენებითია. ფილმს არავითარი კავშირი არა აქვს გენიალურ დრამატურგთან. ფილმში მონტაჟის საშუალებით არეულია მოგონება და წარმოსახვა, მისი დიალოგი მამასთან ხან სინამდვილეში არსებულის გახსენება, ხან კი წარმოსახვაა. მის ცხოვრებაში შემოდის ახალგაზრდა კაცი (ზემოთ ხსენებული ახალი ამერიკული სახე ჯეიქ ჯილენჰოლი), რომელიც ასევე მათემატიკოსია და თავისი პროფესორის სახლში მის დარჩენილ ნამუშევრებს ეძებს. ბუნებრივია, რომანი ქეთრინსა და ჰოლს შორის გარდაუვალი იქნებოდა. მათი პირველი რომანტიკული ღამის შემდეგ ჰოლს ქეთრინის რაღაც ნამუშევარი უვარდება ხელში, რომელსაც ის პროფესორის ნაშრომად იღებს. თვადაპირველად თავად ქეთრინსაც უჭირს გახსენება, ვის ეკუთვნის ნაწერი, მაგრამ რამდენიმე ხანში გაიხსენებს, რომ ის მამის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე თავად აქვს შექმნილი. ხანგრძლივი მტკიცების შემდეგ ჯილენჰოლის გმირი დამოუკიდებლად აღმოაჩენს, რომ ამ უნიკალური ნაშრომის ავტორი მართლაც ქეთრინია. მეცნიერული ნაშრომი იმდენად თანამედროვეა, რომ შეუძლებელია ეს ხანში შესულ პროფესორს შეექმნა ერთი წლის წინ. ნერვული კრიზისის მდგომარეობაში მყოფი ქეთრინი საბოლოოდ სწავლის გაგრძელებას და საყვარელ მამაკაცთან დაბრუნებას გადაწყვეტს; ფინალი, რასაკვირველია, ბედნიერია.



გვინეთ პელთროუ და ჯეიქ ჯილენჰოლი.

მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის საერთაშორისო ფესტივალზე საკონკურსო კინოჩვენებაში წარმოდგენილი ფილმების უმეტესობა მელოდრამატული იყო და სასიყვარულო ურთიერთობებს ეხებოდა, როგორც თავად ჯონ მადენი აღნიშნავს, ის ცდილობდა გაეანალიზებინა რამდენად ძნელია ნდობის, სიყვარულისა და საღი აზრის შემოწმება. ამ შემთხვევაში ის ალბათ იკვლევდა, რამდენად შესაძლებელია ნდობა ადამიანებს შორის და ასევე კიდევ ერთხელ გვახსენებდა იმას, რომ ძნელია გენიოსი ადამიანის შვილობა.

ძნელია არა მხოლოდ ქართულ კონტექსტში, სადაც კარგი მამის ან დედის შვილად ყოფნა ადვილია, მათგან დამოუკიდებლად არსებობა კი - ძნელი. ენტონი ჰოპკინსის გმირი მისი ასაკისთვის დამახასიათებელი ეგოცენტრიზმით გამოირჩევა. ის მხოლოდ საკუთარი თავით და საკუთარი, უკვე უშედეგო ნაშრომებით არის დაკავებული. ამიტომ არც კი ინტერესდება საკუთარი ქალიშვილის მიერ შექმნილი ნაშრომით, რომელიც თანამედროვე მათემატიკაში სენსაციურია. ცალმხრივი ურთიერთობა მამასთან, რომლისგანაც მხოლოდ იღებს და არ ეძლევა გაცემის საშუალება და შემდეგ უნდობლობით სავსე ურთიერთობა შეყვარებულთან.

გენიალური ნაშრომის ავტორი ისე აღიქმება, როგორც გენიოსი მისი გარემომცველი საზოგადოებისათვის, როგორც ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი. არც მისი სიტყვების და არც მისი ნაწერის არავის სჯერა. ჯონ მადენი სწორედ ამ პრობლემის გაანალიზებას ცდილობდა - რამდენად ძნელია გენიოსისთვის არსებობა სამყაროში. საინტერესოა, რომ მადენის გენიოსი ქალია, მაგრამ, სამწუხაროდ, რეჟისორი ამ პრობლემას არ განავრცობს, რაც იმას გულისხმობს, რომ სუსტი სქესის გენიოსებისთვის საკუთარი თავის დამკვიდრება და სრულფასოვანი არსებობა გაცილებით ძნელია.

ერთი სიტყვით, ფილმი რომელიც, ვფიქრობ, "შეყვარებული შექსპირის" მსგავსად, ერთ-ერთი პოპულარული კინონაწარმოები გახდება, სამწუხაროდ, არასრულყოფილია. ავტორი თითქოს ცდილობს ადამიანური სისუსტეებისა და მისი ფსიქოანალიზის სიღრმეებში შევიდეს, მაგრამ მის მიერ წარმოდგენილი ისტორია და ამ ისტორიის პრობლემა ვერ ცდება ზედაპირულ თხრობას, რაც ნაკლებად საინტერესოს ხდის ფილმს.

ჩვენი ინფორმაციით, რამდენიმე ხანში ფილმი **PROOF** ქართულ კინოგაქირავებაშიც შემოვა, ფილმი, რომელიც პრეტენზიას აცხადებს ინტელექტუალურ კინოზე, მაგრამ სასიამოვნო სანახაობას ვერ ცდება. "რომ მოკვდეს, ვიცი, რომ ნამდვილად ვიტირებ", - თქვა ენტონი ჰოპკინსის თაყვანისმცემელმა ვენეციის ფესტივალზე წითელ ხალიჩასთან მის მოლოდინში. ასე რომ, ყველამ, ვისაც გეტირებათ, ნახეთ ჯერ კიდევ ცოცხალი ენტონი ჰოპკინსი ფილმში **PROOF.**

# "მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები

## კონკურსი გაიმართება ბათუმში 1 ოქტომბერს

**ნინო ჩიტაძე N15**
ასაკი: 18 წლის
სიმაღლე: 175 სმ.
პარამეტრები: 84-60-88

- წელს დავამთავრე სკოლა. ვაპირებ მომზადებას, მინდა ჩავაბარო ტურისტულზე.

**- როგორ ფიქრობ, სწავლაში ხელს არ შეგიშლის მოდელის საქმიანობა?**

- არ ვიცი. ვაპირებ სერიოზულად მეცადინეობას, მაგრამ ვეცდები სწავლასაც და მოდელობასაც გავართვა თავი.

**- აქამდე გიცდია მათი შეთავსება?**

- წელს პირველად მივიღე მონაწილეობა კონკურსში. სააგენტო "ნატალიში" მივედი 15 წლის რომ ვიყავი, მიმიღეს, მაგრამ გადავიფიქრე. ვსწავლობდი და ვერ მოვახერხე.

**- ახლა რატომ გადაწყვიტე?**

- მე არ გადამიწყვეტია, დაქალმა დამაძალა. არასდროს წარმომედგინა, რომ "მის საქართველოზე" გავიდოდი, მაგრამ იმდენად ძლიერი იყო "ზეწოლა"...

**- მეგობრები და ახლობლები ხშირად გეხმარებიან გადაწყვეტილებების მიღებაში?**

- არა მგონია. არასდროს მქონია შემთხვევა, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიმეღო.

**- რა შეიძინე "მის საქართველოს" შესარჩევ კონკურსზე?**

- გოგონები მომწონს ძალიან, შინაგანდ არიან ძალიან კარგები. ადამიანში საერთოდ ვაფასებ მის გულს; არ მომწონს ჭორიკანა ადამიანი, პირში რომ მიცინის და ზურგსუკან მჭორავს. აქ ყველანი კარგები არიან, ჭორაობა არ მსმენია მათგან. ზოგჯერ ჩუმად ვარ და ყველას ვაკვირდები. მომწონს ძალიან აქაური სიტუაცია.

**- ვინც ჭორიკანაა შენს ახლოს, იოლად წყვეტ მასთან ურთიერთობას?**

- ვინც დასაკარგი იყო - დამიკარგავს.



15



**თიკა ქადაგიშვილი N28**
ასაკი: 18 წლის
სიმაღლე: 171 სმ.
პარამეტრები: 86-62-90

- ვსწავლობ სულხან-საბაში, უცხო ენებზე; ასევე, წელს ჩავაბარე მუსიკალურ სასწავლებელში, ვოკალურზე. ვიყავი მოდელი ორი წლის განმავლობაში, მაგრამ აქამდე სერიოზულად არ მოვკიდებივარ საქმეს. უფრო სწორად, გულმოდგინედ არ მიმუშავია. "მის საქართველოს" კონკურსში მოსვლამდე ვფიქრობდი, რომ მოდელობას აღარ გავაგრძელებდი, როცა სწავლა მეორეხარისხოვანი გახდა ჩემთვის, გადავწყვიტე თავი დამენებებინა მოდელობისთვის.

**- კონკურსზე როგორ მოხვდი?**

- მეგობარმა დამირეკა: თუ გინდა გახდე "მის საქართველო", მიიღე კონკურსში მონაწილეობაო. შარშანაც მქონდა სურვილი, მაგრამ საბუთების მიტანა დამაგვიანდა. წელს კი მოვხვდი საუკეთესო 30-ეულში.

**- თუკი კონკურსში გაიმარჯვებ, რა შეიცვლება შენს ცხოვრებაში?**

- მართალი გითხრათ, მაგაზე არ მიფიქრია, მაგრამ ალბათ ყველაფერი შეიცვლება ჩემს ირგვლივ; უფრო დავიხვეწები, ყველა გამიცნობს. პოპულარულიც გავხდები და სამოდელო საქმიანობაშიც ხელს შემიწყობს.

**- მერე, სიმღერა?**

- არც სიმღერას დავანებებ თავს. თუმცა სად ჩავაბარებ, ჯერ არ ვიცი. მუსიკალურშიც ჩემდაუნებურად მოვხვდი: ხმის დამუშავების მიზნით ვემზადებოდი, მაგრამ მასწავლებელმა მირჩია ჩამებარებინა და მეც ასე მოვიქეცი.



28



**სალომე ხელაშვილი N16**
ასაკი: 19 წლის
სიმაღლე: 176 სმ
პარამეტრები: 92-63-93

სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობ ჟურნალისტიკას; პარალელურად ვარ "იმიჯ ცენტრის" მოდელი.

**- ალბათ ტელევიზიაში გსურს მუშაობა?**

- ჯერ არ გადამიწყვეტია. უფრო მეტად კულტურისა და შოუ-ბიზნესის სფერო მაინტერესებს; პოლიტიკა - ნაკლებად.

**- მოდელის გამოცდილება გაქვს?**

- არა, ახლახანს დავიწყე.

**- აპირებ სამომავლოდ გაიკეთო მოდელის კარიერა?**

- თუ გამოვა - აუცილებლად. საზღვარგარეთ მინდა მოღვაწეობა და ვნახოთ, თუ მოვახერხე - გავყვები ამ საქმეს, თუ არა და - რაიმე სხვას გამოვნახავ.

**- უცხოეთში წასვლა რატომ გადაწყვიტე?**

- სამუდამოდ წასვლას არ ვაპირებ. უბრალოდ, იქით მინდა მუშაობა. აქ ჩამოვალ ხოლმე, ოჯახი საქართველოში მყავს. მინდა წასვლა თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენთან გაცილებით ნაკლები ანაზღაურებაა, ვიდრე საზღვარგარეთ. ჩემი აზრით აქ მოდელობა უინტერესოა. ეს სფერო ჩვენთან არ არის საკმარისად განვითარებული.

**- მუსიკა გიყვარს?**

- ძალიან, ვუსმენ ყველგან და ყოველთვის ყველა ჟანრის ნაწარმოებს. ძალიან ბევრი შემსრულებელი მიყვარს. გამოვარჩევდი სტივი უანდერს... და მეტს ვერაფერს. როცა მოწყენილი ვარ, სპირიტუალურ მუსიკას ვუსმენ.



16



ხმა მიეცით თქვენს რჩეულს
და აირჩიეთ
**"ტელემაყურებლის სიმპათია"**:
SMS მაგთი 1060
SMS ჯეოსელი 1040
ეწვიეთ ჩვენს საიტს
www.missgeorgia.ge
და გამოავლინეთ
**"მის-ფოტოგენურობა"**







ESM
თბილისი/TBILISI

EUROPEAN SCHOOL OF MANAGEMENT

ESM-თბილისი აცხადებს მიღებას მენეჯერთა საბაზო სერტიფიცირებულ პროგრამაზე (მაგისტრატურის მოსამზადებელი)

საბუთების მიღება 23 სექტემბრამდე
მისამართი: ვაჟა-ფშაველას 40
ტელეფონი: 393 461, 893 303 550